წელიწადი მეოთხე. № 5. ფასი 25 კაპ.

ცხოვრება

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

1 მარტი. 1916 წ.

შინაარსი:

1. გოდება ებრაელთა, ლექსი, აკაკისა.
2. „პრიგავარის ღვდელი“, შემდეგი, მელანიასი.
3. *** ლექსი, ობოლი მუშისა.
4. დილა, ლექსი, მინა რაჭველისა.
5. ომის მარგალიტები, ჯანდაბასი.
6. შავსულგბს, ლექსი, სანგურულისა.
7. მუშა სიმონა, ლექსი, რ. საჯავახოელისა.
8. *** ა. ხაბულიანისა.
9. *** ლექსი, ობოლი მწყემსისა.
10. ქუჩაში, ლექსი, კ. მიმქრალისა.
11. ილია ლუკასძე ბახტაძე (ილ. ხონელი), მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, ლ. ბახტაძისა.
12. ერობა, იაკ. ფანცხავასი.
13. სულითავათმყოფობა, მკურნალის ს. დადუნაშვილისა.
14. შიო მღვიმელი.
15. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ამბერისა.
16. მისაბაძი მაგალითი.
17. აპარლების საკითხი სახელმწიფო დუმაში.
18. სახელმწიფო დუმა.
19. შენიშვნები, კირილე წუთისოფლელისა.
20. ახალი წიგნის განცხადება.

ქუთაისი

სტამბა „ძმობა“ ქარვასლის ქ., სახლი ჩარექოვისა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წელს.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვრება-ზე“

რომელიც გამოვა ორ კვირაში, ერთხელ რომანოზ სპ. ფანცხავას რედაკტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ

წლიურათ ჟურნალი ეღირება 5 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 10 შ., თვიურათ 10 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მ.

ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, ჭიათურაში—პლატონ კილასონიასთან, სამტრედიაში—მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—კოწია გამყრელიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში და ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

ცხოვრება № 5.

1 მარტი. 1916 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

გოდება ებრაელთა.

(ბაირონით).

გოდებს ისრაილ! მოთქვამს იუდა
და ებრაელნი ტირიან ერთხმათ,
რო ბაბილონის ამიერიდან
გადაქცეულან მონებათ და ყმათ!

—:—

მტრები მოყვრულათ გარს ეხვევიან...
ეუბნებიან: რასა წუხართო?
თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულეთ
და მოწყენილი ავრე ნუ ხართო!..

—:—

ჩვენებურ ბანგზე მომართეთ ჩანგი!
გადმოაკეთეთ თქვენი ხმებიო
და გვიგალობეთ „ქებათა-ქება“,
ჩვენ ბატონი ვართ და თქვენ ყმებიო!

—:—

დაემორჩილეთ ბედს!.. ნურას ჩივით!
აღარავინ გყავთ თქვენ გამგონიო,
ნუდა იგონებთ იერუსალემს...
გახსოვდეთ მხოლოთ ბაბილონიო...

:—

აი, სად არი შეურაცყოფა!..
ამას ეტყვიან მხოლოთ ცოცხალ-მკვდრებს.
ჩვენი სიონის წმიდა გალობა
უნდა ვუმღეროთ ჩვენ მოსისხარ მტრებს?

—:—

არა, სიონო! ვერ გიღალატებთ,
სანამდი პირში გვიდგია სული!
შენი ტახტია!.. შენი სამარე...
შეურყეველათ!.. ეს ჩვენი გული.

—:—

ოუმც-კი მონა ვართ დღეს ბაბილონის,
მარა უნებურ და უსულ გულოთ,
და, მაშ, საერთო რა გვაქვს ჩვენ მტრებთან,
რო მათთან ერთად ვიმხიარულოთ?

—:—

დასწყდით სიმებო! გაქვავდი ენავ,
მტრების მაქებარ-მადიდებელო!
„წმიდა -წმიდათა“ ხარ ეროვნებავ,
თვით ტყვეობაშიც ხელ-უხლებელო!..

—:—

სამგლოვიარო ძაძას ჩავიცვამთ,
თავზე დავიყრით ნაცარსა და მტვერს.
და თანაგძნობით არ გავახარებთ
სამოყვროთ მოსულს და განაცხად მტრებს.

—:—

ნეტარ არს მხოლოთ ის ებრაელი,
ვინც მონურათა მტერს არ უხრის თავს!..
და სამშობლოსთვის თავის დადებას
სამხიარულოთ გამოისახავს!

:—

ქვეყნის სავნებელს და სასარგებლოს
დაუფარავათ ვინც აღიარებს..
და მისი ქვეყნის მტრის ნორჩ-შვილებსაც,
თავს უმყლეტს ქვით და ზედ დახარხარებს!..

აკაკი.

„პრიგავარის ღვდელი“.

(შემდეგი *).

VIII

არამც თუ მარტო სოფელ გვემულში, მთელ მაზრაშიაც-კი ყასუმა, შაქრუა და ოსი-

---

*) იხ. „ცხოვრება“. № 4.

კო „ყველაზე გამოფხიზლებულათ“ სცნეს აგიტატორებმა. უფრო მეტიც: აღტაცებაში მიდიოდენ მათი „მახვილი“ და „გამჭრიახი“ მოსაზრებით ახალი სწავლის შეთვისებაში. უკვირდათ, რო სადღაც, მიყრუებულ სოფელში ამისთანა „გავითარებული“ და „მომზადებული“ ახალგაზდანი აღმოჩდენ და ეათ სიხარულს საზღვარი არა ქონდა, რათგანც ასეთი ძვირფასი თანამშრომელნი მოიპოვეს ახალი სწავლა მოძღვრების გასავრცელებლათ. რასაკვირველია, ყველაზე მომეტებულ წარმატებას უწინასწარმეტყველებდენ სოფელ გვემულს, როგორც პირდაპირ სამოქმედო ასპარეზს ახლათ შეძენილ მოღვაწეებისას.

ეს სამი პირი წინათ ვერც-კი იცნობდენ ერთმანეთს. მხოლოთ გაგონილი, თუ ქონდათ რამე ერთი ერთმანეთზე, თორე სხვა-კი არა რაიმე გარემოებას არ მიუცია მათთვის შემთხვევა პირადათ გაცნობისა და დაახლოვებისთვის.—მით უმეტეს, რო სრულიათ სხვა და სხვა მიმართულებისა და მისწრაფებისანი იყვენ ეს ვაშკაცები. ხოლო საზოგადო, „ერთობის,“ საქმის სამსახურმა და „დაჩაგრულთადმი გულშემატკივრობამ“ დაუახლოვა ისინი ერთმანეთს. მართალია, აგიტატორებმა მოთხოვეს სამთავეს მტკიცეთ დაახლოვება ერთმანეთთან და შეერთებული ძალით მოქმედება, მარა, თუ თვითონაც არ შეეგნოთ აქიდან წარმომდგარი სიკეთე და სარგებლობა, ისე მჭიდროთ და გულმოდგინეთ არ დაუახლოვდებოდენ ერთმანეთს, როგორც ეს ნამდვილათ და სავსებით მოხდა მათ შორის.

აგიტატორებმა მისცეს მათ ინსტრუქცია მოქმედებისთვის და მოშორდენ სოფელ გვემულს სრულიათ დამშვიდებულნი და დაიმედებულნი მაზე, რომ უიმათოდაც იქ საქმე სასურველათ წავიდოდა. ინსტრუქციის უპირველესს და უმაღრესს მოთხოვნილებას (მუხლს) შეადგენდა შემდეგი: „რო დავიმორჩილოთ მთელი სოფელი და იარაღს ჩვენ სიტყვასა და ნებაზე, ყოვლის უწინარეს საჭიროა შიში მივცეთ სოფელს. თუ შიში არ ექნებათ დიდიდან პატარამდი და კაციდან დედაკაცამდი, ჩვენ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. შიშისთვის-კი ძლიერ ნაყოფიერი ნიადაგია იქ, სადაც უვიცობა სუფევს. მაშასადამე, თქვენთვის არ შეადგენს მაგრე რიგათ სიძნელეს დანერგოთ და დაამყაროთ სოფელში შიში. უვიცობა. ხალხისა და მასთან შიში—აი, რანი და, ვინ არიან ჩვენი ძლიერი მოკავშირენი ჩვენს მოქმედებაში. თუ თვით თქვენ ვერ ითავებთ მისცეთ ხალხს შიში და ამისთვის არ შეგწევთ ძალი და ღონე და გაბედულება, შეგვატყობინეთ და მაშინ ჩვენ გვეცოდინება. ისეთ ტერორისტებს გამოგიგზავნით, რო მთელ სოფელს ძილი დაუფთხონ. მხოლოთ თქვენი მოვალეობა მაშინ იმაში გამოიხატება, რომ აჩვენოთ მათ ყველა თქვენი წინააღმდეგნი და საშიში, მავნე პირები.“

ახლათ დაახლოვებულ და დაკავშირებულ მოღვაწეთა შორის ყასუმამ, როგორც უფრო ბუნებით ჭკვიანმა, პირველობა იგდო ხელში; რაზედაც ამხანაგებიც თანახმანი იყვენ და არ ეწინააღმდეგებოდენ. იგი საგუბერნიო ამომრჩეველების რიცხვშიც მოყვა, როდესაც პირველ სახელმწიფო დუმის დეპუტატებს ირჩევდენ.

სოფლის მცხოვრებლებმა პირველათ აბუჩათ და სასაცილოთ აიგდეს თვისი „გულშემატკივარნი“ და მოკეთენი, თუმცა-კი აგიტატორებმა შეყრილ ხალხს გამოუცხადეს, რო „ჩვენს ბადლათ ამათა ვტოვებთ სოფელში და ამათ გაუგონეთ და დაემორჩილენით ყველანი და ყოველიფერში“-ო. გამოჩდენ ორიოდ-სამი იმისთანა თავზე ხელ აღებულნიც, რომელთაც არც დაირცხვინეს, არც მოერიდენ და პირში გააგონეს ხმა მაღლა და გულის წყრომით მიმართული მთელი შეყრილ სოფლისადმი ამ ნაირი სიტყვები:—ქურდმა, ბოზმა და ჯიბგირმა, რა ხელმძღვანელობა უნდა გაგვიწიონო, და რა სიკეთეს უნდა მოგვწიონო, რო ჩვენი გზის მაჩვენებლათ და დამრიგებლათ გიმოდიანო. მარა, როცა ამ სიტყვების მთქმელნიც და ოთხიოდე სხვა პირადი თვისი მტრებიც დაბარბულ ტეროორის-

ტებს გაასტუმრებინეს საიქიოს, მაშინ-კი ყველას ენა ჩაუვარდა მუცელში; მათი შიშით ძრწოდა მთელი სოფელი და ყურ-მოჭრილ ყმათ გაუხდათ.

აი, ამ სოფლის მმართველთ მიმართა ღვდელმა მაქსიმემ.

მელანია.

(შემდეგი იქნება.

*
* *

... და შენ წახველ... მე წყვდიადის ბნელ სამოსში გავეხვიე;
ულის კვნესით უნუგეშომ ცრემლი ცხარე დავაფრქვიე...

—

ზე ალმართა ქარიშხალმა, მზეო, ჩვენ შვა რიდე შავი,
გულს მოედო ტანჯვის ცეცხლის მფეთქავ ალათ სევდა მწვავი.

—

და, მას შემდეგ, დამხუზუნებს თავს ფთა-შლილი ქარიშხალი,
შავ-ბნელ ღამეს არ მიშუქებს განთიადის სხივთა ალი.

—

და, ეს აწმყო, შავათ შლილი, მინიავებს, რაც შევქმენი;
არ მიმთელებს გულის წყლულსა, სატრფოვ ჩემო, სუნთქვა შენი!

—

ბოროტ სულთა ველურ ხარხარს, მესმის, კვნესა უერთდება...
ჩუ! მღელვარე სისხლის ზღვაში ვიღაც მოთქვამს, ვიღაც კვდება!..

—

მე მარტო ვარ... სიღრმე ცისა თავს დამყურებს, ვით უფსკრული;
შენ დაგეძებს, შენსკენა ფრენს, განთიადო, ტრფობით სული.

—

ობოლ გულის თრთოლვა-კვნესით ტანჯვის თასით შხამის სმელი
ვერ წარვიკვეთ სასოებას, მაინც გელი, მაინც გელი!

—

მწამს, რომ მოხვალ-გამიშუქებს ამ ბნელ წყვდიადს შენი სხივი
და, ჩაქრება გულში სევდა, ტანჯვის ცეცხლით განაღვივი.

ობოლი მუშა.

დილა.

დილის მკაცრ ბძოლაში ჩამქრალა ღამე,
ნისლთა ბინდ—ბუნდი გაქარწყლებულა;
ჩამქრალა სევდა—სულის სიამე,
დღის თეთრ სივრცეზე გამეფებულა!

თვალ ცრემლიანი გაშლილა ვარდი,
გაშლილა, ველზე გადაფუჩქნილა;
დამწვარა გულის მქეჯნელი დარდი,
ღიმ მორეული აცინის დილა!

დაფრინავს სიო დანამულ ველზე,
შრიალობს, მღერის ბუჩქნარი მთისა,
ვით გულის სატრფოს, ეხვევა ყელზე,
ცით მოცრიალე სიცილი მზისა.

ჩემ თვალებს ხიბლავს შვენიერი დღე,
ცა, მიწა, ველი ზამბახიანი!
ოჰ, მეც მსურს ლხენა, რო თანა მოძმე
არ იდგეს ძმის წინ ხმალ სისხლიანი.

მინა რაკველი.

ომის მარგალიტები.

(ჯარის კაცის დღიურიდან)

სანამ ამ „დღიურის“ ამოწერას შევუდგებოდე, ურიგოთ არ მიმაჩნია პატივცემულ მკითხველს გავაცნო—თუ, როგორ ჩამივარდა ხელში ეს „დღიური“.

გამაგიჟებელი გაზაფხულის დილა იყო. ჯერ მზეს არ მოეფინა თვისი ცხოველმყოფელი სხივები ქვეყნისთვის, როდესაც გამომეღვიძა. ავდექ საჩქაროთ და გავეშურე მაღალი გორაკისკენ, რო ხარბათ დავწაფებოდი დილის სუფთა ჰაერს. დილის ცელქი ნიავი საამურათ აღაღანებდა დასამწიფებლათ გამზადებულ ფერ შეცვლილ ყანებს. ფრინველები ჟღივილ—ხივილით აყრუებდენ ახლათ გაღვიძებულ ბუნებას. მე ჩქარის ნაბიჯით ავირბინე გორაკზე და დამშეულსავით ხარბათ დავეწაფე სუფთა ჰაერს. ჩემს გარშემო თვალ—წარმტაცათ გადაიჭიმენ თვალ-უწვდენი აბწვანებული ველები, რომელნიც მოექარგა ათასნაირ ნაყოფით ადამიანის და ბუნების შეერთებულ ძალას. აქა—იქ ყანებს შვა, მოჩხრიალებდა მთის ლაღი ნაკადი და თვისი ლუკლუკით შეტრფოდა ამწვანებულ ნაპირებს. ოხ, რა შვენიერი ხარ ბუნებავ!. რა სასიამოვნოა შენს ახავერდებულ კალოებზე ოცნება!.. მარა ზოგჯერ ამის ნებასაც არ გვაძლევენ, თითქოს შენი უკანონო შვილნი ვიყოთ!!.

ამ ფიქრებით გატაცებული ერთ ასწლოვან მუხას მივყრდნობოდი და გავცქეროდი შორს, ცის ტატნობს... უცბათ, ეს მყუდროება დაარღვია ადამიანთა წიოკობამ; მე საჩქაროთ გამოვერკვი ოცნებიდან; ტირილის ხმა ახლობელ სახლიდან ისმოდა და მეც მოუფიქრებლათ იქით გავწიე.

საჩქაროთ ჩავირბინე დაღმართი. შევედი ეზოში და თვალ—წინ შემდეგი სურათი გადამეშალა: შვა ეზოში შეგროვილიყვენ ოჯახის წევრნი და თავს დაქვითინებდენ სხვა და სხვა აბურდულ ნივთებს. ერთ განმარტოებით მდგომარე მამა—კაცს ტირილის მიზეზი ვკითხე. მხოლოთ მან, პასუხის ნაცვლათ, მომაწოდა პატარა ქაღალდის ნაჭერი, რომელსაც საჩქაროთ გადავავლე თვალი და შემდეგი ამოვიკითხე: „თუმც ძალზე მიჭირს ასეთი შინაარსის წერილის გამოგზავნა, მარა ვასრულებ—თქვენი შვილის უკანასკნელ თხოვნას. გიგზავნით ყოველივე ნივთებს, მის ბძოლაში გმირულათ სიკვდილის შემდეგ“... ოხ, კიდევ ბძოლის სხვერპლი!.

დამირა ცივმა ჟრუანტელმა ტანში და დაავუწყე ახლათ მოტანილ ნივთებს თვალიერება. ამ ნივთთა შორის, შევნიშნე ერთი რვეული, რომელიც ავიღე საჩქაროთ და დავუწყე ფურცვლა. პირველ გვერდზევე ამოვიკითხე შემდეგი: „ჯარის კაცის დღიური“, რამაც ძალზე დამაინტერესა, რის შემდეგაც გავშორდი ამ ხმაურობას და გულ დასმით გადავიკითხე მისი შინაარსი. დღიურში ბევრი

რამ ვნახე ისეთი, რომელსაც არ მოველოდი. მარა ორმა მათგანმა—კი ისეთი ძლიერი ჩაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რო ძალა უნებურათ მომინდა მისი შინაარსი სხვასაც გავუზიარო.

20 მაისი.

ეს დღიური უფრო მოგონებას წარმოადგენს, ვიდრე დღიურს, რათგან წასული ამბის მოგონება და ჩაწერა დამჭირდა ავათმყოფობის გამო.... საზიზღარი ბნელი რიდე გადაფარებოდა ბუნებას და მწუხარებით მოღუშული ცა ძალზე იცრემლებოდა. მე გონება დაბნეული ვეგდე ერთ სიბნელით მოცულ მიდორში და ჭრილობისგან გამწარებული აქით—იქით ვეხეთქებოდი. მარა მშველელი არავინ იყო. ადამიანთა მწარე ოხვრა—კვნესას დააქანებდა ამ ჯოჯოხეთად ქცეულ მიდამოში საზარელი ქარი და გრვინვით ეხეთქებოდა მკრთალათ მოლიპლიპე მდინარის კიდეებს. მძიმე ტალღათა სრბოლით მოიზლაზნებოდა ალისფერი „ვისლა“ ცეცხლისგან გარუჯულ ნაპირთა შორის და მედიდურათ ეხეთქებოდა—კიდეებს, თითქოს ადამიანთა მიბაძვით, ისიც ლამობდა თვის კალაპოტის გაფართოებას. უცბათ, ზუზუნით ჩაიქროლა ძლიერმა ქარმა და შორს გაიტაცა ადამიანთა მწარე ოხვრა—კვნესა. თითქოს ეს კვნესის ხმა ცის მნათობთაც შეესმათ, უცბათ ჩამოიშორეს ღრუბელნი და გაფაციცებით დაიწყეს დედა—მიწისკენ მზერა. მიდამო გაანათა თვარის შუქმა. მარა ნუღა შემასწროს ღმერთმა,—კვლავ მეხილოს ისეთი საზიზღარი სურათი!. მთელი მარცხენა ნაპირი ვისლისა დაეფარა ადამიანთა ლეშის ხროვას, რომელთა შორისაც გამოისმოდა აქა—იქ გულშემხუთავი კვნესა სულთმობძავ ადამიანთა.

„სად გიკვდები, დედა!.“—შემოძესმა მდინარის ნაპირიდან და ტანში ჟრიალი დამაწყებია. ის ხმა იყო ერთად-ერთ იმ ადამიანისა, რომლის გულის პასუხი, ოხვრა—კვნესა და ლაპარაკი მარტო მე მესმოდა ამ აუარებელ ხალხში. თან შიშით ვკანკალობდი და თან იმედი მომეცა, რომ ისიც ჩემსავით დაჭრილი იყო და არა მკვდარი. მოვიკრიბე უკანასკნელი ძალა და გავეშურე მისკენ ფორთხვით... მარა ჯერ ისევ შორს ვიყავ, როდესაც ნაცნობი კვლავ შეინძრა, ჩაიყო უბეში ერთ-ერთი ხელი, ამოიღო სატრფოს სურათი, რომელიც ყოველთვის თან დაქონდა განუშორებლივ და დაუწყო დაუსრულებელი კოცნა.

„ოხ, სად მიკვდები, ჩემო ელიკო!. შენ-კი, ვინ იცის, რას ფიქრობ ახლა!.. იქნებ, რამე იმედი გაქვს კიდევ ჩემი?!. მარა მშვიდობით!. შესაძლებელიც რომ იყოს, აწ ჩემი სიცოცხლე, მე მაინც აღარ გეჩვენები, ჩემო სულის დგმავ!“

მე მომაგონდა საჩქაროთ მისი აღთქმა, რო, „თუ დავმახინჯდი არამც და არამც თ ვს არ ვიცოცხლებო“ და ავჩქარდი, რომ იმედი მიმეცა და გამემხნევებია. მარა მრავალ გვამებზე მიხდებოდა გადაფორთხება, რომელნიც ძალზე მიძნელებდენ გზას.

„ვის, რაღათ უნდებვარ უხელ—უფეხო!.. დაე, ჩემი წყლული გაბანოს აღქაფებულმა ვისლის ტალღებმა, რათგან შეიძლება იქ მაინც მეღირსოს ჭრილობათა დამშვიდება!. მ... შვი... დო.. ბით, ჩე... მო ღვთა... ე... ბავ. მშვი... დო.. ბით!.“ დაეწაფა მძლავრათ სურათს და ოავქვე დაგორდა მდინარისკენ...

მე საზარლათ შევყვირე, ზეზედაც წამოვიჭერ მისაშველებლათ, თითქოს შემძლებოდეს... მარა ის ამასრბაში უკვე შეუერთდა ტალღათა სრბოლას და მე—კი გულ—წასული დავეცი რამდენიმე გვამთა შორის... თითქოს ყველაფერი ეს მოჩვენება ყოფილიყოს, ან სიზმრათ ხილული. . ამის შემდეგ, გამოვახილე თვალები ერთ—ერთ ქალაქის საავათმყოფოში, საიდანაც ისევ ჩქარა მომიხდება უკან გაბრუნება...

13 ივლისი.

შვენიერი დილა გათენდა. მზე ათასფრათ ბჭყვიალებდა ზარბაზნების კვამლით გაქღენთილ ჰაერში და დამზერდა ადამიანთა ბარბაროსობის სურათს. ჩვენ დიდი ხანი იყო, რაც სანგრებში ვიყავით ჩამალული. შვა ღამისას დავიბრუნეთ რამდენიმე კვირის დაკარგული ადგი-

ლი; მზის შუქით აფთოვანებულს მომინდა დამეთვალიერებია ის ადგილი, სადაც ჩვენ ვიყავით. მარა ტყვიის შიშით თავს ვერ ვიღებდი მაღლა. ბოლოს, მაინც ცნობის მოყვარობამ სძლია შიშს და თავი ამოვყავ თხრილიდან. ტყვიები ზუზუნით გარბოდენ ჩენ სიახლოვეს. მარა იმდენ შიშსაც ვერ მგვრიდენ, რამდენსა უწინ ფუტკრის, ან კრაზანას ბზუილი. ზარბა ზნის ყუმბარები ჰექა—ქუხილით ეხეთქებოდენ ახლო—მახლო და არყოფნის ქარცეცხლში ავლებდენ ყველაფერს...

ახლა ეუკვირდები ჩემ თავს და ვამბობ:— ადამიანი გაცილებით მხეცზე უარესი ქმნილება ყოფილა ქვეყნიერებაზე, რათგან ისე დამშვიდებულათ ვადევნებდი თვალს ამ ჯოჯოხეთურ სურათს, თითქოს ჩემში ყოველივე გძნობა ჩამკვდარი ყოფილიყოს. ახლა მე აღარ ვიცი არც შიში, არც შებრალება!. უწინ ქათმის დაკვლაც, თუ იწვევდა ჩემში სიბრალულს. ახლა ისეთი აფთოვანებით დავკრავ ხოლმე გულში შტიკს, თუ სადმე მოვიხელე, ჯერ ეს უნახავი ადამიანი, რო წარბსაც არ შევიხრი და უბრალოთაც არ შემებრალება... როდესაც შეშლილივით გადავავლე თვალი იმ მიდამოს, სადაც ჩვენ ვიყავით, თვალწინ წარმომიდგა ვებერთელა მიდოარი, რომელზედაც აუარებელი წუხანდელი ბძოლის სხვერპლნი გაბნეულიყვენ, და აქა—იქ—კი მწუხარებით გამოიყურებოდენ საძმო საფლავნი, პატარა ჯვრებით, რომელთა შორისაც განისვენებდენ რამდენიმე კვირის წინ მომკვდარი ბძოლის სხვერპლნი..... მოვიდენ რამდენიმე კვირის წინათ და დამარხეს რამდენიმე ასეული ადამიანი, მოვედით დღეს ჩვენ და უნდა დავმარხოთ რამდენიმე ასეული ადამიანი და ეს მიწა -კი ისევ იმ მიწათ დარჩება, როგორიც დღემდის იყო....

ტანში ჟრუანტელმა დამიარა:—იქნება, მეც ამ ადგილზე მომიხდეს დამარხვა—თქო,— გავიფიქრე. იქნება, ეს ჩემივე გათხრილი საფარი გამიხდეს სამარეთ!. და საჩქაროთ ჩავყავი თავი, რო ჩქარა არ გამართლებულიყო ჩემი ფიქრი. გვერდზე მივიხედე და ის ამხანაგები, რომელნიც ამ რამდენიმე საათის წინ მელაპარაკებოდენ და მამხნევებდენ, თვისსავე სისხლში ცურაობდენ. მარა ეს ხო ჩვეულებრივი მოვლენაა!. თითქოს მძინარნი წოლილიყვენ—ისე შეუშფოთებლათ გადავავლე თვალი. ჩავაწყე თოფში ტყვიები და გავაგრძე სროლა, რომ ამეღო ჩემი ამხანაგების სისხლი...

საშინელი ცეცხლის ალი დატრიალდა ჩვენ გარშემო. მარა, ისე კარგათ ვიყავით თხრილებში, რომელთაც საძმო საფლავთა ამაღლებული მიწაც ეფარა, რომ უკან დახევაზე ფიქრიც არ მოგვდიოდა. ამ დროს ჩვენ მახლობლათ გრვინვით დაეცა ყუმბარა, გათხარა დიდზე მიწა და თავზე ბელტები გადმოგვაყარა. უცბათ ისეთი მყრალი სუნი დატრიალდა, რო სული ველარ ამოვიღეთ. ჰაერის მოწამლა გვეგონა და „თავს უშველეთ, თავს უშველეთ-თქო“, ერთბაშათ ავყვირდით... მოუფიქრებლათ წამოვარდი ზეზე. მარა ჩემ წინ გადაიშალა ისეთი სურათი, რომლის საზიზღრობაც უკანასკნელ სისხლის წვეთამდის არ დამავიწყდება!. ჩემ მახლობლათ ყუმბარას ამოენგრია ერთი საძმო საფლავი და გახრწნილი, დამახინჯებული გვამებით მოეფინა ჩვენი სანგრები. ოხ!. ახლაც თვალწინ მიდგია ეს საზიზღარი სურათი!... დიდხანს ვერ გამოვერკვი ამ მდგომარეობიდან და ისიც დამავიწყდა, თუ ჩემ გარშემო ზუზუნ—ზუზუნი გაქონდა ცხელ ტყვიებს. მხოლოთ, როდესაც მივიხედ—მოვიხედე, ჩემ ამხანაგებს რაჰდენიმე მანძილი უკვე გაერბინათ. მეც მოვტრიალდი საჩქაროთ და, რაც ძალი მქონდა, გამოვქანდი უკან. ოხ, საზიზღრობავ!!. სამარეშიაც არ ასვენებენ საცოდავებს, სამარეშიაც!!..

ჯანდაბა.

ს. ცხრუკვეთი. 1915 წ.

შავ სულებს.

მე მიმყვებით? მაშ, წამოდით, წამოდით!
არ შეჩერდეთ! ნათელ გზაზე გავიდეთ.
ად ვისწრაფი, სად მივდივარ, არ იცით?
წამოდით და თვითონ ნახავთ, გაიგებთ!
მე მიმყვებით? აღარ ხუმრობთ, მგონია..
მაშ, იარეთ, არ ჩამომჩეთ, იარეთ!
მიმზირეთ-კი, თვალი არ ამაშოროთ!
სად მივდივარ-თვითონ ნახავთ, გაიგებთ!
რას ცახცახებთ? ნუ თუ ვერ დამეწიეთ?
ხა, ხა, ხა!.. უკან, გინდათ, გაბრუნდეთ?
რა გაშინებთ, თქვით, თქვით, ნუღარ გცხვენიათ!
ის უფსკრული ჩვენ რომ უნდა გავიდეთ?
კიდევ მოხვალთ? მაშ, წამოდით, წამოდით!
სად მივდივარ? ახლავ გეტყვით, გაიგებთ!
ხედავ, უფსკრულს და იქ ბეწვის ხიდებსა?
იმ ხიდეზე-კი ჩვენ უნდა გავიდეთ!
უფსკრულს იქით, ხედავთ, ნათელ ქვეყანას?..
იქ ვისწრაფი, გესმით, იქით მივილტვი...
მაშ, მომყევით, თუ მშიშრები არა ხართ!
იმ ქვეყნისთვის მუდამ ვიბძვი, სისხლსა ვღვრი!
ხა, ხა, ხა!... ველარ ბედავთ წამოსვლას?
მაშ, რა გინდათ, ჩემგან, შავო სულებო!
რატო დამზდევთ, თქვე ლაჩრებო, სულ მუდამ!
შორს, შორს ჩემგან! ნუ დამყვებით დღე და ღამ!

სან. გურული.

ბაქო. 3 დეკემბერი 1915 წ.

მუშა სიმონა.

მე მუშა ვარ, ხელებ დაკორძებული,
ეს ხელობა ღვთისგან მაქვს ბოძებული:
ბარი, თოხი, კავ-გუთანი გებული,
ზურგზე ტვირთი, ტონრით მოკიდებული...
წინ მივრეკავ ჩემს ნიშას და წიქარას,
ჩამოდექით...ვინც ხელს მიშლის – მიქარავს.
ისე, როგორც ღვდელი აქნევს საცეცხურს,
ხელის ქნევით მიწაში ვყრი სათესურს
მე მუშა ვარ, ქვეყანა მყავს სარჩენი...
მუქთა ხორავ, რით ხარ გამოსაჩენი?
მე ვმუშაობ, შენ-კი მუქთად დადიხარ
და სარჩენათ მე კისერზე მაზიხარ...
მეცოდები, რო სულელიც ბგონივარ!
არც-კი ფიქრობ, მეც რო შენი ტოლი ვარ.
გასწი, გასწი, ვენაცვალე წიქარას,
სად გვცალია...ვინც ჩვენზე, რას მიქარავს.
მე მუშა ვარ, ხელებ დაკორძებული,
ეს ხელობა ღვთისგან მაქვს ბოძებული,
ბელტს ბელტოზე ვაბრუნებ და ვაბრუნებ,
ცხელი ოფლით დედამიწას ვაპკურებ.
ასე არის უფლის განაჩენია:
მოიხმარე, ეს ქვეყანა შენია.
შრომითა და ოფლით ჭამდე პურსაო,
და იცხოვრე, აწ უკუნისამდეო.
მარა, ამას ვინ ასრულებს ჩემს მეტი?!
მუშის ბედი, ასეა განაჭედი...
მე არ ვწუნობ! თავიც მომწონს ამითა,
მე არ ვცხოვრობ წანაგლეჯი რამითა...
ბარი, თოხი, წალდი, ცულდი, გუთანი,
ოფლის ღვრა და წელში მოხრა, კურტანი...
ეს სულ ყველა ხელობაა მუშისა,
ქვეყნის საზდოთ, ასავსებათ კუჭისა.
ვინც არ შრომობს, მუშაობა რცხვენია,
სხვისას ყლაპავს, პირი დაუფჩენია,
თავი მოწონს, მე ფარათაც არ მაგდებს...
უჰ!.. ამ ჭკუით სანამდის ინავარდებს?!...
შრომისათვის წამიღუნავს ქედია,
ბატონათ მყავს მხოლოთ ერთი ღმერთია.
ნუ ვინ ფიქრობს, რომ ის ჩემზე დიდია...
ვინც ვერ მიძმობს, ფეხებზეც არ მკიდია.
არ გეგონოთ ძველებურათ მე მონა!...
მე გახლავარ მიწის მუშა-სიმონა.

რ. საჯავახოელი.

---

*
* *

მე თვალ-წინ ისევ შენი სახე მიდგას...
როცა შენს ფანჯრის წინ ჩამოვივლი, თვალ-

ნი დაკვირვებით გამოიყურებიან და ცდილობენ შენ დაგინახონ.

ტყვეთ ქმნილი გძნობა, გონებას აღარ ემორჩილება და ფიქრთა დენა, მთის კალთებიდან გადმონახეთქ ნაკადულათ შენსკენ მოისწრაფის.

მერე, რა კარგია ამ დროს სიცოცხლე!..

ღარიბთათვისაც-კი, ბედით დევნილთათვისაც, როცა მათ შეუძლიათ ოცნებით-კიარა; სინამდვილის წერტილს მიაპყრან თვისი თვალის კაკლებიდან გადმოტყორცნილი მხედველობის ისარნი!..

კარგია-კი, კარგი სიცოცხლე, მარა ჩემთვის... ჰმ!..

ტყვეთ ქმნილი თვალნი, რომლის მხედველობის საგანი, რომელიც ჩემი ოცნების ნაყოფი არ არის ისე, როგორც ეს პოეტებსა გონიათ, როცა ჩემ საყვარელ შენი სახლის ფანჯარასთან ვერ დაგინახავენ, მუდამ მოძრავ არსებას, თუნდ უმოძრაოთ მდგარს და შორს გამყურვალეს, ვით ჯიოკონდას ღრმა და შორს მჭვრეტელი თვალები, რომლებიც შუბლის ფიქალოზე ოდნავ გადმოწოლილ თმებ ქვეშ გამოიყურებიან; ხშირ წარბ წამწამებში, მაშინ ჩემი ფიქრები შორს, წარსულში გადადიან და მას წინ უდგება ადამიანთა ოცნების ნაყოფი უუშვენიერესი, ჯერ არ არსებული სულიერი არსება: დიდ თმიანი, მომხიბლველი სახის, შვენიერი ტანადობის, ფერხთამდი თმებ დაფენილი, განუსაზღვრელი ძლიერების მექონი ტყის ქალი, რომლის მნახველიც არავინ არის, მარა ხალხისგან შექნილ ზღაპრებით ბევრს-კი უნახავს.

და, აი, აქ წყდება ჩემგან მიუწდომელ ბედნიერების დასასრული... და თვალწინ ისევ შენი სახე მიდგას...

ა. ხაბულიანი.

* * *

როცა ფიქრი სულის მწველი გაშლის ხოლმე ჩემში თვის ფთებს,
როცა სევდის ნაპერწკალი გულში მინთებს ცეცხლის ზვირთებს
და მიყურებ შენ შორიდგან განაწამებს ძალ მილეულს—
გეეედრები, გთხოვ ტანჯვის დროს ნუ მიკითხავ
—სევდის რეეულს.

დაე, დასტკბი ჩემის ტანჯვით და მიყურე განაწამებს
ხოლოთ, რას გთხოვ, ნუ დამითვლი იმ წარსულის ტკბილსა
-წამებს...

ეს წუთები შენ მაჩუქე, დღეს თვით მართმევ, შენგნით ძლეულს.
გეეედრები, გთხოვ ტანჯვის დროს ნუ მიკითხავ
—სევდის რეეულს.

გთხოვ, წარსულს ნუ მომაგონებ, მეაწ მისი არრა ვიცი,
აწ იკმარე ჩემი ტანჯვა, ნუ გასტეხე შენი ფიცი...
მარა არა, მე რათ მწყევლი, ის ფიცი ხო დღეს შენ დაგმე
და იმ ფიცთან მეც შემლახე, მეც მაწამე, მეც ამლაგმე...
თუ ასეა, მეც წაგართმევ ძველსა სახელს—ქალსა გძნეულს,
რათგან მტანჯავ და ტანჯვის დროს შენ მიკითხავ
—სევდის რეეულს.

ქ. გორი. ობოლი მწყემსი.

ქუჩაში.

(ღამის სურათი).

თოვს, ყინავს, ზუზუნებს ქარი,
წყდიადს მოუცავს ღამე საზარი;
ზუზუნებს ქარი, გულ—შემზარავი,
ტირის სამშობლო, სამოთხის დარი...

*
* *

აგერ, ქუჩაში, საბრალო ქალი
შველას თხოულობს, გულ ამომსკდარი,
მომიკლეს შვილი, წამართვეს ქმარი,
შიმშილით ვკვდები, საბრალო ქალი...

*
* *

ნუ თუ შორს არის ის დრო ნეტარი!
ქვეყნათ რო გაქრეს, ბოროტი ძალი,
და, ნაცვლათ ამა ბოროტებისა,—
რო დავდგათ ტახტი ნეტარებისა?..

კ. მიმქრალი.

ილია ლუკას ძე ბახტაძე,

(იდ. ხონელი), მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.*)

კავკასიის მთავრობამ გაზ. „კავკაზი“ ვ. ლ. ველიჩკოს გარდაცა. ახალი რედაკტორი ყოველ ხერხს ხმარობდა, ილია ბახტაძის თანამშრომლათ მოსაწვევათ. მარა ყოველი ცდა ველიჩკოს ამაოთ ჩაუარა. იგი უმართავდა ბანკეტებს მეგობრების სახელით, რომელზედაც თვითონაც ესწრებოდა, რომ უფრო დაახლოვებოდა ხონელს. თანამშრომლობაზე მაინც ვერ დაითანხმა. პოეტის ლექსები ილიას ძალიან მოწონდა, მარა წინასწარ გძნობდა, რო პოეტის საქართველოში მოღვაწეობა გლახათ გათავდებოდა. ამ დროს ხონელი მატერიალურათ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო. მარა მაინც არ დათანხმდა ველიჩკოსთან მუშაობაზე, მიუხედავათ იმისა, რო ველიჩკომ საუკეთესო პირობები აღუთქვა.

აქ მინდა შეეხო ამ ნიჭიერი კაცის ვინაობას და საქართველოში მოღვაწეობას. და გავფანტიო გავრცელებული საზოგადოთ კავკასიაში და, კერძოთ, საქართველოში ყალბი აზრი, ვითომც ველიჩკო გამოგზავნილი იყო პროვაკატორათ კავკასიის ხალხების ერთმანეთზე გადასაკიდებლათ. ეს აზრი მისი მტრების მოგონილია. ველიჩკო იმ დროს ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი პოეტი და ქართველ პოეტების მთარგმნელი. პოეტისთვის საქართველოში ჩამოსვლა პირველი არ იყო. იგი უწინაც ჩამოდიოდა, როგორც სტუმარი, რომელსაც ქართველი საზოგადოება დიდი პატივით და მასპინძლობით უხვდებოდა. საქართველოში ჩამოსვლამდის იგი მსახურებდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში, სადაც მინისტრის საგანგებო საქმეთა მოხელეთ ითვლებოდა პეტროგრადში, საუკეთესო წრეებში ტრიალებდა, ითვლებოდა დაახლოვებულ მეგობრათ ვლ. სოლოვიოვისა, ვ. ბურენინისა და სხ., რომელნიც მის სახლში იკრიბებოდენ ხშირათ. ველიჩკო საქართველოში რედაკტორათ წამოსვლამდი პეტროგრადში ეცნობებოდა ქართველ სტუდენტებს და იმათი საშვალებით—ქართულ საქმეებს. საქართველოში კარიერისა და სიმდიდრის მოსაპოებლათ-კი არ ჩამოსულა იგი. იმას უნდოდა სახელის მოპოვება. მარა, მის და საუბედუროთ, საქართველოში პოეტმა მეგობრებათ და მრჩეველებათ ისინი გაიხადა, ვინც მალ-მალ ყანწებს ცლიდენ სხვის სუფრაზე, როდესაც ქართველი საზოგადოება მის პატივის საკემლათ თფილისში ბანკეტებს მართავდა, იგინი მიიჩნია პოეტმა მარილათ ამა ქვეყნისა და კიდეც დაღუპეს პოეტი. ამ ვაჟბატონებმა პოეტი ჯერ სომხებს მიუსიეს, სომხებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს მას. ველიჩკოს ეგონა, ვინმე დაეჯმარებოდა. მარა არსაიდან იყო, არც დამხმა-

*) იხ: „ცხოვრება“, № 4.

რე, არც მრჩეველი, რო შეეჩერებიათ. დარჩა სრულიათ მარტოთ. როგორც დეზნაკრავი ბედაური, ლაგამი აიყარა და უფრო გაშმაგებით მიიტანა იერიში სომხობაზე. მისი მეგობრები კიდევ და კიდევ აქეზებდენ და შორიდან სეირს უყურებდენ...

ბოლოს, მთავრობამაც გლახა თვალით დაუწყო ას ცქერა. ამ დროს სომხის ტერორისტებმა მთავარ-მართებელი ათ. გ. გ. გოლიცინი დაჭრეს. გოლიცინმა სომხების თავს დასხმა ველიჩკოს ნაწერების გავლენას მიაწერა. მოიხმო იგი და წინადადება მისცა, ოცდა ოთხ საათში გაცლოდა ქალაქს...

სახელის და სიყვარულის ნაგიერ, პოეტმა დაიმსახურა, მეგობრების წყალობით, სამარცხვინო სახელი ხულიგანისა და პროვოკატორისა...

თფილისიდან პეტროგრადს გარდასახლდა და მაშინვე ხელი მიყო კავკასიის საქმეებზე წერას. მთელი ორი წლის განმავლობაში ჟურ. „რუსის მიმოხილვაში“ ცეცხლს აფრქვევდა იგი კავკასიის მცხოვრებლებს. ახლა პოეტი აღარ არჩევდა არც ქართველს, არც სომეხს, არც თათარს. მისთვის სხვა ხალხი, გარდა რუსისა, არ არსებობდა. ბალე ნერვები აეშალა პოეტს მღელვარაბისგან და გარდაიცვალა... ამ ნიჭიერი კაცის აზრებს არა რუსი ვერ გაიზიარებს. მარა ვერავინ იმათგანი ვერ იტყვის, რო პოეტის ნაწერები ღვთიური ცეცხლით არიყო აღბეჭდილი...

რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლო მას, რო ნიჭიერი მეგობრები ყოლოდა და დროზე შეეჩერებიათ ფიცხი პოეტი!..

იმ დროს, როდესაც ველიჩკო „კავკაზის“ რედაკტორათ გახდა, ილ. ხონელი მიიწვიეს გაზ. „კასპის“ თანამშრომლათ, როდესაც ეს გაზეთი ქ. ბაქოში გამოდიოდა, სოკოლინსკის რედაკტორობით. ხონელი ბეჭდდა ამ გაზეთში წერილებს იმერეთიდან.

1894 წელს „მოამბის“ რედაქციამ მიიწვია იგი თანამშრომლათ. ამ ჟურნალში ხონელმა დეკემბრის ნუმერში 1894 წ. და იანვარში 1895 წ. ორი წერილი „ჩემიდღიური“ს სათაური. მოათავსა. ამისშემდეგ, იძულებული შეიქნა ჟურნალ „მოამბისთვის“ თავი გაენებებია. „მოამბეს“ სტამბავდა „ქართულ წიგნების გამომცემელი საზოგადოება“, რომლის გამგე და ჟურნალის რედაკტორი ალექსანდრე ჯაბადარი იყო, კაცი სრულიათ უვიცი მწერლობაში და გაუნათლებელიც. ამ ჯაბადარმა ილ. ხონელს, ორი წერილის დაბეჭდის შემდეგ, წინადადება მისცა ქალაქის თვითმართველობაზე არაფერი დაეწერა, რათგან ეგ ვაჟბატონი ბაზრის ზედა მხედველათ იყო და ქალაქის თვითმართველობის უფროსები გლახათ დამიწყებენ ცქერასო. ილიამ, რასაკვირველია, ბრიყვს ზურგი უჩვენა და „მოამბის“ რედაქცია მიატოვა. 1896 წ. რამდენიმე წერილი დასტამბა გაზ. „კვალში“, სათაურით „კვირის სურათები“ და „კვირის ფარანი“.

ამის შემდეგ, ხონელი გაშორდა კავკასიის მწერლობას, რათგან მისთვის ყველა რედაქციის კარები დაიკეტა თფილისში და გადავიდა დროებით დ. ხონში საცხოვრებლათ.

აქ თავის მეცადინობით და ხარჯით დაარსა საქალეჭო პროგიმნაზია, რომლის გამგეთ მისი და ელენე იყო. ხონში რუსეთიდან წერილი მოუვიდა ამფიტეატროვისგან, რომელში აც იგი თხოვდა ხონელს, გადასულიყო საცხოვრებლათ პეტერბურგს, სადაც უნდოდა ამფიტეატროვს გავლენიან გაზ. „ნოვოე ვრემია“ში მოეთავსებია თანამშრომლათ, რომელშიაც მაშინ ამფიტეატროვი უმთავრეს თანამშრომლათ იყო. ამფიტეატროვი პირდებოდა ხონელს დიდ ჯამაგირს. მარა ხონელმა მას უარი შეუთვალა, კავკასიის მიტოვება არ შემიძლია, წე-

რდა იგი და ვერც ჩრდილოეთის ჰავას ავიტანო ახლა.

მაშინ ილიკო დაავათმყოფებული იყო. ჯერ კიდევ თფილისში მყოფობის დროს, ბორჯომის ხაობაში წავიდა, სხვებთან ერთად, ნამდვილი ამბის გასაგებათ, იმ უთანხმოებისა, რომელიც მოხდა მაშინ გლეხებისა და დიდი მთავრის მამულის გამგის შორის. ბორჯომში იგი გაცივდა და იმ დღიდან კარგათ არ გამხდარა. ავათმყოფი სახლისკენ გაეშურა, სადაც მთელი ზამთარი ლოგინს არ მოშორებია. გაზაფხულზე ცოტათი უკეთაც შეიქნა და იმ ფიქრით, რო ზღვის ჰავა მომიხთებაო, ქ. სოხუმს გაემგზავრა. სოხუმის ჰავამ, მართლაც, კარგათ იმოქმედა ავათმყოფზე. ყველას ეგონა, სრულიათ განიკურნებაო. ავათმყოფმა, მოსკოველ მკურნალის, ასტრაუმოვის რჩევით, განიზრახა აბანოში ზღვის წყლით ბანაობა. აბანოში, საუბედუროთ, კიდევ გაცივდა. იმ დღიდან ჩაწვა იგი ლოგინათ და, ოცი დღის ავათმყოფობის შემდეგ, 13 ივლის, 1900 წელს, დღით ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე ილიკომ საუკუნოთ დახუჭა თვალი...

სოხუმიდან ცხედარი ზღვით ფოთში ჩამოიტანეს, სადაც დიდ ძალი ხალხი დ საზოგადოება დახვდა. ჩვენმა მწერალმა რომანოზ სპირიდ. ძე ფანცხავამ გძნობით სავსე სიტყვა წარმოთქვა კუბოსთან... ფოთიდან განსვენებული წამოასვენეს დ. ხონს. გზაში შემოსილი საღვდელოება და აუარებელი ხალხი ბვდებოდა და პანაშვიდებს იხდიდა. სამტრედიაში დეკანოზ ერმალოზ კანდელაკს მთელი ქვემოიმერეთის საღვდელოება შეეკრიბა ძვირფასი მიცვალებულის პატივსაცემლათ და სამტრედიას და კულაშის მცხოვრებთა თანდასწრებით ანდერძი აუგო და დიდზე გააცილა.

სამტრედიაში გულშემზარავი ამბავიც მოხდა. კუბოსთან ვიღაც რუსი მივიდა და იქ მდგომთ კითხა, ვის მარხავენ ასეთი მწუხარებით და სიყვარულითო? მიუგეს: ილია ბახტაძე, ხონელი გარდაიცვალა სოხუმში და დ. ხონში მიასვენებენ ნათესავები დასაკრძალავაოო. ამის თქმა იყო და უცნობმა რუსმა იმ წამსვე სასოებით ქუდი მოიხადა, რაღაც ხელში ქონდა, ის განზე გადისროლა, დაიჩოქა კუბოს წინ და ხმა მაღლა ცრემლ მორეულმა იწყო მოთქმა. „სიკვდილს ჯერ რა უნდოდა შენთან? მერე შენისთანა კაცთან, რომელიც ყველასთვის სასარგებლო იყავი, შენ იყავი ჩაგრულთ მოყვარე და მჩაგვრელთა მტერი. მე შენით მიდგია სული, ამდენი სიკეთე მიყავი და ვერც-კი გიცნობდი“. ამ რუსმა ხუთი ვერსტი გამოიარა და კუბოს არავის ანებებდა. მას, თურმე, დიდი უსიამოვნობა შეემთხვა სამსახურში უფროსთან. ილიკო გამოსარჩლებოდა გაზეთში, თუმცა პირადათ არ იცნობდა. ამბობდა სამსახურიდან დათხოვნას გადამარჩინა და ჩემი ოჯახი -კი შიმშილს ააშორაო. რამდენიმე ვერსტზე ცხედარს გამოეგება ხონის საღვდელოება და მცხოვრებლები. მისმა მოგვარეებმა კუბო მაღლა, თავის ზევით, ასწიეს და ისე ჩამოასვენეს სახლში. დიდ პატივსაცემლათ შეიკრიბენ იმ დღეს არა მარტო ხონელები და მიდამო სოფლელების მცხოვრებნი, მთებიდანაც ჩამოსულიყვენ ცხენებით სრულიათ უცნობნი, რომელნიც ღრმა მწუხარებას უცხადებდენ ჭირისუფლებს. ილიკო მიწას მიაბარეს 20 ივლისს, ელიობა დღეს. ამ დღისთვის საქართველოს თითქმის ყოველმა ქალაქმა და დაბამ გამოგზავნა დელეგატები, რომელთაც გვირგვინებით შეამკეს საყვარელი მიცვალებულის კუბო და გძნობიარე სიტყვები წარმოთქვეს. მის კუბოს აშვენებდა ორასამდი გვირგვინი და, მათ შორის, ქ. ბათომის ძვირფასი გვირგვინი, წვერმოტეხილი კალმით.

ელიობას, საზოგადოთ, ხონელებმა დიდი ლხინი და წვეულება იციან და ნასადილებს ჯარიანობა და სეირნობაც. იმ დღეს-კი, გლოვის

ნიშნათ, არსად ლხინი არ ყოფილა. მთელი ხონი დამარხვას დაესწრო. საქართველოს ყოველი კუთხიდან და რუსეთიდანაც სამძიმარის წერილები და დეპეშები მოდიოდათ უსაზღვრო მწუხარებაში მყოფთ-ილიკოს მშობლებს.

პირველი დეპეში ალექსანდრე ვალ. ამფიტიატროვისა იყო. იგი სამძიმარს უცხადებდა ილიკოს მამას, შვილის დაკარგვის გამო და თან მწარეთ დასტიროდა მეგობარს.

ამ გვარი დამარხვა, რომლის ინიციტივა ეკუთვნოდა ხალხს, იმ დროს პირველი იყო ჩვენში და დიდი, ღრმა ჩაბეჭდილებაც მოახდინა... ბევრი გძნობიარე სიტყვა წარმოითქვა იმ დღეს მიცვალებულის გადახდილ კუბოს წინ. როდესაც დადგა უკანასკნელი გამოთხოვების წამი, ისეთი აფთროვანება დაეტყო ხალხს, თითქო დროებით ეთხოვებოდა. არავის ჯეროდა, რო საუკუნოთ, მიგვეფარა თვალთაგან ეს იშვიათი მოქალაქე... როდესაც კუბო სამარეში ჩაუშვეს და მიწა გადააყარეს, ხალხი კიდევ არ ცილდებოდა მის საფლავს... უსიტყვოთ, ღრმა მწუხარებით დაყურებდა იგი ილიკოს სამარეზე ამაღლებულ მიწას... დაღამდა და ზღვა ხალხიც ჩუმათ დაიშალა...

ილიას სიკვდილის შემდეგ, მამასაც დიდ ხანს აღარ უცხოვრია. იმ დღიდან დაკარგა მან ყოველი ხალისი ცხოვრებისა, მიატოვა ჩვეულებრივი ხუმრობა, ალერსი და მუსაიფი, ღრმა, გამოუთქმელი მწუხარებით-დაავათმყოფდა და მალეც გარდაიცვალა... ილიკოს საუკუნო გასასვენებელი ადგილი თვით მამამ ამოარჩია, წმიდა გიორგის ეკლესიის გალავნის შიგნით, კარებიდან მარცხნით, სადაც ილიკოს საფლავის გვერდით მამამაც მალე პოვა საუკუნო ბინა...

დღიდან გარდაცვალებისა ორივეს საფლავზე გაუქრობელი ლამპარი ანთია. მათი საფლავი დიდი მზრუნველი ხელით წალკოტათ არი ქცეული, სადაც ვარდი და ყვავილები ზამთარზაფხულ სილამაზით ერთმანეთს ეჯიბრეიან.

განიერი მიდამო საფლავისა დროებით ხის მოაჯირით არი შემოვლებული, რომელიც დიდრონ ფოთლიან სუროთი არი დაფარული და საფლავის ზევით ხეივანი, სუროში არი იგიც გახვეული. შორიდან მწვანე კარავი გეგონებათ, ცოცხალ ვარდებით შემკული.

ალექს. ამფიტეატროვი წერდა თავის გაზ. „როსსია“ში ილ. ხონელის სიკვდილის გამო: „კავკასიამ ჯერ არ იცის, ვინ დაკარგა განსვენებულში. ბევრი დრო გაივლის, სანამ მის სავარძელს კავკასიის მწერლობაში სხვა ვინმე დაიჭერს. დაბადებული დიდ არენაზე საბძოლელათ, სახელისა და პატივის მაგიერ, ბედის გაუგებარი დაცინვით, ილ. ხონელმა კავკასიის მწერლობის წუმპები დალია სულიო. ქართველს ილია ბახტაძეს ბადალი არ ყავდა, როგორც მეფელეტონეს, რუსეთის თანამედროვე მწერლობაში.*)

ახლა მინდა ილიკოს გარეგან მხარეს შევეხო. მინდა გაგაცნოთ მისი ლიტერატურული გემოვნება და ჩვეულება, მინდა გიჩვენოთ იგი მუშაობის დროს და მხიარულ საზოგადოებაში.

ხონელი იყო ტანათ მაღალი, შოლტივით ავარდნილი, ფაქიზი აგებულობის კაცი. ლამაზ და მხიარულ, მიმზიდველ სახეს უშვენებდა წაბლის ფერი წვერი, რომელიც გვერდებზე ოდნავ შეკრეჭილი ქონდა და სოლივით ჩამო-

*) ჩვენ სრულიათ ვიზიარებთ ნიჭიერი ალ. ამფიტეატროვის აზრს, რო „ქართველს ილია ბახტაძეს ბადალი არ ყავდა, როგორც მეფელეტონეს, რუსეთის მწერლობაში“.

ამ დიდათ ბეშმარიტ აზრს დავასაბუთებთ, როცა ილ. ხონელის ნაწერების კრიტიკულათ შეფასებას შევუდგებით.

ხომლელი.

შვებული. თვალებიც წაბლის ფერი, რომელ-ნიც ძალზე ელვარებდენ. სიცილის დროს, თვალები ოდნავ ეხუჭებოდა. მისი ჩვეულებ-რივი სიცილი უფრო ხითხითი იყო. როდესაც მოსწრებულ სიტყვაზე ხმა მაღლა გაიცინებდა, მისი სიცილი ტან-მთელი და ენერგიული ბავ-შის სიცილს წააგავდა.

მისი პორტრეთი ფოტოგრაფ როინოვის გადაღებული, რომელიც ხალხშია გავრცელე-ბული, ილიკოს ნამდვილ სახეს არ წარმოგვი-დგენს. ამ პორტრეთზე იგი მწუხარეთ და უი-მედოთ იყურება, აცვია ჭრელი საზაფხულო პერანგი და სამუშაო ტუჟურკა. ამ პეორტრთ-ზე არა ჩანს, არც მისი ენერგია, არც სიცოცხ-ლის სიყვარული, არც დამცინავი ელვარე თვალ-ები. როდესაც ილიკომ თფილისის დატოვება განი-ზრახა, ფოტოგრაფი ალ. როინოვი შეხვედრო-და ქუჩაში და ეთხოვა პორტრეთის გადა-ღება. ეს პორტრეთი ილიკოს არასდროს არ უნახავს. მხოლოთ ხონში რო ჩამოვიდა, შინა-ურებს უთხრა: „როინოვმა ჩემი პორტრეთი გადიღო, გლახათაც გამოვედი და ჩაცმულიც გლახათ ვიყავიო.“ როინოვმა შეატყო, უთუ-ოდ, რო ხონელის დღენი დათვლილი იყო და ამისთვის დაიტოვა მისი პორტრეთი. სხვა პორტრეთები ილ. ხონელისა სიცოცხლით და ენერგიით სახეს გვირდგენენ. როინოვმა რო პორტრეთი გადიღო, ილიკოს მაშინ სიკვდილის ცელი მოდებული ქონდა. სინამ ტან—მთელი და მხიარული იყო, ტანისამოს და, საზოგადოთ, გარეგნობას დიდ ყურაოღებას აქცევდა. მისი საყვარელი ფერი მწვანე და ბოთლის ფერი იყო. ამ ფერების ტანისამოსს იგი ზამთარში ატარებდა. ზაფხულში ეცვა ჩინეთის დარაია და ღია ნაცრის ფერი პალტო, ღალსტუკი იცოდა მუდამ ახალი, თეთრი, ფრიალა და თვით საკეთებელი.

მწერლობაში ილიკო უფრო სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას ეტანებოდა. პოე-ზიაში ლირიკა უყვარდა. რუსულ მწერ-ლებში ყველაზე მაღლა პუშკინს აყენებდა, რომელიც ზეპირათ იცოდა. პუშკინის ერთ ტომიანი თხზულება მუდამ მაგიდაზე ედვა. ილიკო არა ჩვეულებრივი მახსოვრობის კაცი იყო. ლექსი რო მოეწონებოდა, ორჯელ წაი-კითხავდა, მესამეჯერ ზეპირათ იტყოდა. არა ჩვეულებრივი მახსოვრობით აიხსნება მისი ცოდნა ურიცხვი ლექსებისა, როგორც რუსის, ისე ქაროველ პოეტებისა. მარტო ლექსები-კი არა, ზეპირათ იცოდა საუკეთესო ფურცლები ბელინსკის, გოგოლის და შჩედრინისა. ბელინ-სკის თხზულება მას არა ქონდა, იგი ოდეს ღაც წაეკითხა პეტროგრადის საჯარო ბიბლიო-ტეკაში, როგორც თვით იტყოდა და იქიდან ახსოვდა. კითხულობდა, როგორც ლექსს, ისე პროზას დიდის ხელოვნებით. ლექსების კითხვა მისთვის ერთგვარი დასვენება და გართობა იყო. საფრანგეთის თანამედროე მწერლებში უფრო ხშირათ გიუიმოპასანის და ალფონს დოდეს წიგნებს კითხულობდა. დოდეს თხზუ-ლება: „ტარტარენის მოგზაურობა“ მისი საყვა-რელი წიგნი იყო, რომლის კითხვაზე მუდამ იცინოდა. მის ბიბლიოთეკაში უფრო შექსპირის, ბაირონის, ჰაინეს, ბერნეს, დიკენსის, ტეკერეის, სფიფტის, კიპლინგის და სხვების ამ გვარი წიგნე-ბი იყო. მას უყვარდა მხიარული და სატირული შინაარსის წიგნების კითხვა. ამის შემდეგ, გასაკვირველიც არ არი ხონელის შესანიშნავი, მდიდარი სტილი რუსულ ენაზე.

ილიკოსთან როდი მოგწყინდებოდა, თუ კარგ გუნებაზე იყო. როდესაც სოფელში მოვიდოდა, საღამო მასთან, ლიტერატურულ საღამოთ იქცეოდა. კითხულობდა ბევრს, უმეტესათ სა-ღამოს, დაწოლილი. თუ წიგნი მოეწონებოდა, კითხვაში შამოათენდებოდა.

ქართულ პოეზიაში ყველაზე მაღლა ნ. ბარათაშვილს აყენებდა. უყვარდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ზოგიერთი ლექსები: „გამხელებია, ვა, სიყვარული“ და „გოგჩისტბა“. მოწონდა დარბაისელი ენა გრ. ორბელიანისა, ხშირათ იცოდა წარმოთქმა მისი ლექსების „მზე ჩაესვენა, მარამა“.. და საპოლემიკო ლექსების. ილია ჭავჭავაძეზე, როგორც პოეტზე, დიდი აზრის არ იყო. ხშირათ იცოდა თქმა: „თვით ილიას პოეტათ არ მოაქვს თავიო“. მხოლოთ ჭავჭავაძის „განდეგილი“ მოწონდა და ზეპირათაც იცოდა. ხშირათ უთქვამს: „ქართულ ახალ პოეზიაში ეს ერთად ერთი პოემაა ევროპულათ დაწერილიო“.

უყვარდა აკაკის ლექსები, განსაკუთრებით, მისი ლირიკული და დღიურ ვარამზე დაწერილი. დიდათ მოწონდა აკაკის თარგმანი კრილოვის იგავ არაკებისა. ერთ დროს, როდესაც ილიკო ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემას აპირობდა, კიდეც შეიძინა აკაკისგან რამდენიმე თარგმანი არაკებისა. გაზეთის გამოცემაზე უარი რო მიიღო, აკაკისვე დაუბრუნა მისი ლექსები.

ხონელის რუსულათ დაწერილს გადათეთრება არ უნდოდა. ხშირათ ფელეტონს ისე გაათავებდა, არც სიტყვას გამოცვლიდა, არც წაშლიდა. წერის დროს, განმარტოება მისთვის საჭირო არ იყო. სოფელში, როდესაც საღამოს ფელეტონის დასაწერათ დაჯდებოდა, ხშირათ იმავე ოთახში მისიანები ჩაის მიირთმევდენ და ხმა მაღლა მუსაიფობდენ, რომელშიაც ილიკოც ჩაურევდა სიტყვას. სამაგიეროთ, წერის დაწყებამდის, იგი დიდ ხანს დადიოდა ბალკონზე, ხმას არავის ცემდა, თვალი შორს ქონდა მიბჯენილი, თითქო ირგვლივ არავის ამჩნევსო. მაშინ რო ვისმეს შეეჩერებია, ეწყინებოდა. სქემას და ფორმას ამზადებდა ამ დროს დასაწერისას, დაწერა - კი მისთვის უბრალო გადატანა იყო ქაღალდზე იმის, რაც უკვე მზათ ქონდა. ქართულათ წერა ასე კარგათ არ ეხერხებოდა. ბევრჯე დაწერილს წაშლიდა, ერთ სიტყვას მეორეთ გამოცვლიდა. ეს ნიშანი იყო, რო მწერალი რუსულათ აზროვნობდა და თავის ღარიბ ქართულ ლექსიკონში აზრის გამოსახატავათ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა. ჯერ კიდევ გიმნაზიაში მყოფობის დროს, იგი ცნობილი იყო შეგირდებში, როგორც საუკეთესო მცოდნე რუსული ენისა. ბევრჯელ უთქვამს: რუსული ენის მასწავლებელმა მაკკევიჩმა შეგვაყვარა ეს ენა. მაკკევიჩი ნეკრასოვის ახალ ლექსებს მოგვიტანდა და გვიკითხავდა კლასში. იგი მოწაფეებს სახლში გვიწვევდა, წასაკითხავ წიგნებს გვაძლევდა და რუსულ ლიტერატურაზე გვემუსაიფებოდა. ამ მაკკევიჩს სიკვდილამდი სიყვარულით იგონებდა... ერთხელ, მაკკევიჩს კლასში მოეტანა ბავშვებისთვის ნეკრასოვის ახალი ლექსი, ჟურნალიდან ამოღებული, ცნობილი „უბურმისტრავლას ბაბუშკა ნენილა“... იტყოდა: ჯერ თვით წაგვიკითხა და, მერე, გვთხოვა ეს ზეპირათ ისწავლეთო“. მაკკევიჩი, თურმე, საუცხოო დეკლამატორი იყო და ილიკო მაკკევიჩის მოგონებაზე ამ ლექს წაიკითხავდა ისე, როგორც მაკკევიჩმა იცოდა მისი წაკითხვა, ცხვირში გამოთქმით. კარგი და მოყვარულ მასწავლებლის წყალობით, ნიჭიერმა შეგირდმა, ისე შეითვისა უცხო ენა, რო, ბოლოს, ამ ენას მისთვის საიდუმლო არა ქონდა...

ილიკოს კლუბებში სიარული არ უყვარდა, არც დიდ საზოგადოებაში, თუ შემთხვევით მოხვდებოდა, იგი განმარტოებულ ადგილს მოძებნიდა, სადაც მორცხვათ ეჭირა თავი. ცოტა ხნის შემდეგ, თქვენ შენიშნავდით, რო მისკენ იწევა ჯერ ერთი ნაცნობი, მერმე, მეორე და, ბოლოს, მის ირგვლივ თავს იყრიდა დიდი კრებული. მალე გაისმოდა ამ ადგილიდან სიცილი და ხარხარი. ამ დროს ილიკოს ეკარგებოდა ჩვეულებრივი

მორცხვობა, მსმენელთ შვა იდგა იგი მხიარული და სიცილით მოუთხრობდა რამე სასიცილო ამბავს. ასეთი მიმზიდველი თვისება ქონდა ამ კაცს.

ილიკო მახვილი კაცი იყო. ერთხელ, პროსპექტზე იდგენ და მუსაიფობდენ გიორგი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი და იაკობ გოგებაშვილი. ილიკო დიდხანს არ ენახათ, იგი სოფელში ყოფილიყო და წინა ღამეს ჩამოსულიყო და, რო დაინახეს, ერთ-ხმათ მიესალმენ. გიორგიმ პირველათ დაინახა და სიცილით მიაძახა: „ხონელო, კვერცხებს ჩამოიტანდი ხონიდან გასაყიდათო,“ —. „ხონელები სხვებივით თავის კვერცხს არ ყიდიან, თუ ყიდიან,—სხვისას და ფულსაც იღებენო,“ უცფათ მოუჭრა ხონელმა. ამ სიტყვების ეფეკტი მოულოდნელი იყო.

პეტრემ ტანით პატარამ, მარა ბოხხმიანმა და ულაშებ გაკრეჭილმა, რომელიც უფრო კათოლიკე პატრს წაგავდა, ვიდრე ქართველ ლიტერატორს, გაბა გაუთავებელი ხარხარი, იაკობი ხმა მაღლა იცინოდა და ფეხებს ზევით ისროდა, გიორგის ნაცრის ფერი გადაედო, დაკრიჭა ჩვეულებრივ კბილები და გავარდა...

ხონელის პასუხის სიმწვავე რო გაიგოთ, საჭიროა დავუმატო, რო გიორგი იმ დროს ახალ ჯვარ დაწერილი იყო. როცა გიორგიმ შეუღლება განიზრახა, ფეოხაინის უბნისკენ გაემართა და იქ დაიწყო თავის მომავალ მეგობრის ძებნა. აკაკის დახმარებით კიდეც იპოვა. გიორგის ეგონა, სომხები ჯიბეებს გაუტენიდენ ასიგნაციებით. მარა სომხებმა ფულები, როგორც ჩვეია მათ გვარს, უშიშარ ადგილს შეიტანეს და ჩვენ გიორგის, ლამაზ ქალების დიდ ოტრფიალეს, ასიგნაციების მაგიერ, ხელში შერჩა ანასტასია მიხაილოვნა.

ლ. ბახტაძე.

(შემდეგი იქნება).

საღეისო.

ერობა.

ორმოცდა ხუთი წელიწადია, რაც ჩვენი საზოგადოება თხოულობს, რო მას ერობა მიეცეს. ჩვენ საზოგადოებას არც ერთი შესაფერი ვარემოება არ გაუშვია ხელიდან, რომ ეს დაწესებულება არ მოეთხოვოს. ჩვენი ჟურნალ-გაზეთობაც დღე-მუდამ და მარად ჟამს, ამ ხნის განმავლობაში, განუწყვეტლათ ამ საკითხს თავს დატრიალებდა და არკვევდა.

ცხადია, რომ ეს დაწესებულება მთელი საზოგადოებისთვის დიდათ სანუკველ საგანს წარმოადგენს და იგი ისეთი „ნატვრის თვალია„.. რომლის მოსაპოვებლათ ქართველთა საზოგადოება ასე თავ-გამოდებით მიაგელვებს თავის რაშს... მარა აქამდი ყოველივე ცდა ამაო შეიქნა: ცივი გული ბიუროკრატიისა არგათბა ჩვენთვის.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში-კი ეს დაწესებულება მთელი კავკასიისთვისაც დიდ მისწრაფების საგნათ იქცა. ამ ხანში ორჯელ მოხდა საგანგებო თათფირი, რომ ერობის საჭიროება თვალსაჩინოთ გამოაშკარავებულიყო. პირველი თათბირი იყო 1905წ. შემოდგომაზე, ხოლო მეორე—1909წ. შემოდგომაზედვე. ამ ორმა თათფირმა ყოველი მხრით გამოარკვია ეს საკითხი დ ერობის საჭიროება ქვა კუთხედათ დაუდვა ჩვენის აწინდელი ცხოვრების გავითარებასა და კეთილ-წარმატებას. მარა არც ამან უშველა საქმეს...

ნათქვამიდან ცხადათ ჩანს, რომ ერობა და ერობის საჭიროება, დიდი ხანია, აღსარებულია და ეს საკითხი ყოველი მხრით გარკვეული და გაშუქებულია. ამიტომ ერობის შესახებ ახლა ლაპარაკი მხოლოთ გამეორებაა ათასჯერ გამეორებულისა. ამის მიუხედავად, სანამ ეს ერობა არ მოგვნიჭებია და, ვიდრე იგი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეთ არ გადაქცეულა, მანამდი ჩვენი ვალდებულებაა, ამ საგანს ისევ და ისევ ხალისით დავუბრუნდეთ, ეს საკითხი დავიწყებას არ მივცეთ

და ერთი და იგივე ათასჯერ დ ათასი გზით გავიმეოროთ.

კარგათ ვიცით, რო სამი მეოთხედი ჩვენი ერისა მიწათმოქმედია და მეურნობით ცხოვრობს, ამ მეურნობით იკმაყოფილებს ცხოვრების ათასგვარ საჭიროებას. მარა, ამავე დროს, ეს მეურნობა ადმინისტრაციის სრულ მზრუნველობის ქვეშ იმყოფება. ამის შედეგი-კი ის გახლავთ, რო ჩვენ სოფლებსა და დაბებს არ მოეპოვება არც გზა, არც შკოლა, არც მკურნალი, არც სამკურნალო, არც აფთიაქი, არც აგრონომი, არც ბეითალი, არც ბაზარი ნაწარმოებს, არც არავითარი ზრუნვაა იმისთვის, რო მეურნობის სხვადასხვა, უკვე არსებული დარგი გავითარდეს, ან ამ მეუბნობის ახალი დარგი აღმოცენდეს და აღორძინდეს. ასეთ პირობებში-კი დაბა სოფლელთა მთელი ცხოვრება უკან წავიდა, გაუარესდა და ეს ცხოვრება დღეს მეტათ აუტანელი შეიქნა. ასეთი ვითარების შედეგი-კი ის გახლავთ, რომ ინტელიგენცია დ ენერგიის მქონებელი პირი აღარ ჰაჰანობს არც სოფლათ, არც დაბათ. ყოველი განათლებული და შეგნებული იქიდან მირბის... ეს გარემოებაც გავითარებას დიდათ აფერხებს და მეურნობა რუტინის გზას დაადგა. აი, ასეთია სინამდვილე ჩვენი აწინდელი ყოფა-ცხოვრებისა.

მე არაფერს ვამბობ და არც არაფერს ვიტყვი ახლა იმის შესახებ, რომ ერობის გაძღოლა, ამ თვითმართველობის ერთი დარგის გამგებლობა და წარმოება თავისთავად აღმზრდელი მნიშვნელობისა არი ერისთვის, საზოგადოებისთვის, რათგან თვით ამ წარმოების დროს საზოგადოება თვითმოქმედებასა და ერთმანეთთან შეთანხმებულ მოღვაწეობას ეჩვევა, რაც, როგორც ვიცით, არა მცირედი მნიშვნელობის ფაქტორია საზოგადოების გავითარებისთვის, წარმატებისთვის.

აი, ამ ორი გარემოებისა გამო, თუ მართლა გულ—წრფელათ გვსურს, რო ჩვენი ერის უმრავლესობა წარმატების სწორ გზას დაადგეს, ჩვენი მეურნობაც ძალზე, დროის შესაფერათ გავითარდეს და აყვავდეს, რომ ამ მეურნობამ მეტი რიცხვი ერისა საზრიანათ ასაზრდოოს, თუ გვსურს, რომ ამ ერის უმრავლესობასთან მჭიდრო, მუდმივი და გაუწყვეტელი კავშირი ექნეს ინტელიგენციას, რომელიც, ამავე დროს, თვის შესაფერ საქმესაც გაიჩენს და ლუკმა პურისთვის აღარ გადაიხვეწება სამშობლოს გარეშე ქვეყნებში და ამით უსარგებლოც აღარ შეიქნება, თვისი მამულისთვის, თუ მოწადინებული ვართ, რო ამ ინტელიგენციას დაღვრემილობა და სასოწარკვეთილება აღარ ემჩნეოდეს, თუ მართლა დარწმუნებით გვჯერა, რომ ენერგიისა და ინიციატივის მქონებელი პირი სოფელს და დაბებს არ გაშორდეს,—მაშინ, უეჭველათ, საჭიროა დ აუცილებელიც ერობა, კიდევ ერობა და კიდევ ერობა. და იგი, ყოველ დროს, ყოველ შემთხვევაში, ყოველმა ჩვენგანმა უნდა გულწრფელათ დ დაჯინებით, სიმტკიცით მოითხოვოს...

იაკ. ფანცხავა.

სწავლით ავათმყოფობა.*)

(შემდეგი.)

ნორმალურ პირობებში, თითოეული გძნობა და წარმოდგენა ბუნებრივის აუცილებლობით აღვიძებს ჩვენს მეხსიერებაში ძველის განცდებიდან მსგავს გძნობებს და წარმოდგენებს, რომელნიც შეავსებენ ჩვენ წარმოდგენას შესამეცნებელი საგნისას. მაგალითად, შორიახლოდ დავინახეთ დადგმული ოთხკუთხი საგანი, რომელიც უნდა იყოს, ჩვენი ფაქრით, საწერი მაგიდა, რათგან მოყვანილობით, სიდიდით და ზოგი მორთულობით მოგვაგონებს

*) იხ. „ცხოვრება", № 4.

ჩვენგან უკვე ბევრჯელ ძლიერ დაახლოებით ნახულს და გამინჯულ საგანს, რომელსაც ყოველთვის ვუწოდებდით სახელათ მაგიდას. ამ შემთხვევაში, უტყუარი საბუთები არა გვაქვს, მარა ვფიქრობთ, რომ ეს საგანი საწერი მაგიდაა, თუმცა შეიძლება იყვეს სამელნე, რომელიც ჩვენ ამ საგნის ზედა ფიცარზე დავინახეთ, შემთხვევით ყოფილიყოს ზედ დადგმული. ვფიქრობთ, რომ ეს მაგიდა ხისაა, თუმცა ახლოს არ გავიმეორებ, ვფიქრობ, რომ მას ოთხი ფეხი აქვს, თუმცა, შესაძლოა, ერთი ან რამდენიმე ფეხი აკლდეს; ვფიქრობთ, რომ უჯრებიც აქვს, თუმცა შესაძლოა. რომ არც ერთი არ მოეპოვებოდეს, ამ გასაზღვრულს ფარგალში, რაც უნდა შემცდარი დავრჩეთ, მსჯელობა ჩვენი მაინც კანონიერია, რათგან შეცდომებსაც ისეთს ჩავდივართ, რომელთა შესაძლებლობა მუდამ იგულისხმება და ამისთვის მსჯელობა და შეცდომები ჩვენი — ყველანი ნორმალური არიან, მიტომ რომ უკეთეს გარეგან პირობებში, ჩვენ შეგვიძლია ეს დროებით შეცდომები გავასწოროთ.

მარა სულ სხვაა, როდესაც კაცი ხანგძლივათ და შემცდარათაც აფასებს თავის გძნობებს მაგალითად, ზოგ სულით ავათმყოფს ნაფიჩვარა ქაღალდები ასიგნაციებათ მიაჩნია. მან კარგათ იცის, რომ ეს ქაღალდია და არა ლითონი, გინდა ხე. მარა მას დაჯინებით შემცდარ ღირსებას აწერს — ფასიან ქაღალდათ ეჩვენება, ელანდება.

აგრეთვე სრულიათ ანორმალური იქნება მსჯელობა, თუ ვინმე წარმოიდგენს, რომ მისგან დანახული მაგიდა ჩვეულებრივი თვისებებისა და ჩვეულებრივი საგანი-კი არ არის, არამედ ავი სულისგან დაგებული მახეა, რომელიც მაცდურათ იზიდავს ადამიანს; ვითომც მაზე დადგმული საწერელი შეიცავს საწამლავს და თილისმას ადამიანის მოსაჯადოებლათ; ვითომც ამ მანქანას, ფეხების ადგილას, უყენია ეშმაკები და უჯრედების ადგილას ჯოჯოხეთის განყოფილებანი აქვს, სადაც მის და სხვა ადამიანების სულებსაც მოელით დაუსრულებელი ტანჯვა. ასეთი წარმოდგენა ებადება მელანქოლიკს, რომლის ავათმყოფური წარმოდგენა შემცდარათ ხსნის მაგიდის დანახვისგან წარმოიმდგარ გძნობებს და ყველგან პოებს თავის წარმოდგენილ მდევნელოთაგან დაგებულ მახეს. ხოლო, მეორე ჯურის სულით ავათმყოფი განდიდების ოცნებით შეპყრობილი მანიაკი, რო დაინახავს ამავე მაგიდას, ადვილათ იტყვის, რომ ეს ოქროს ტახტიაო, რომელიც დიდი ხანია მოელის მის ზეიმით მობძანებას, ფერიებს ოთხი გუნდი თავის თავებზე ატარებენ ამ სამეფო ტახტს და, შებძანდება თუ არა ის მასზე, უჯრედების ადგილას გაიხსნება სამოთხის კარები. მოზღვავდებიან ძველი და ახალი სულები, რომლებიც მიიღებენ მისგან განკურნებას და გასპეტაკებულნი შეუდგებიან საქვეყნოთ მის ქება-დიდებას.

ამ ორ შემთხვევაში, სულით ავათმყოფები დანახულ საგნებიდან გამოწვეულ გძნობებს იმდენ არა ჩვეულებრივ თვისებებს აწერენ, რო ღებულობენ წარმოდგენას, რომელიც ოდნავათაც არ ეთანხმება სინამდვილეს. ეს არი მოჩვენება—ილუზია, რომელიც ამ შემთხვევებში, იმდენათ მძაფრი არი, რო ძლიერ უახლოვდება ბოდვას.

ილუზია—მოჩვენება იქნება ისიც, თუ ავათმყოფს მწარე ტკბილათ ეჩვენება, ან სხ. უცნაურ და შეუსაბამო გემოს გძნობს. ასეთი მოჩვენება ყველა გძნობების სფეროებში მოხდება ხოლმე, ნორმალური ადამიანი ამას გაასწორებს შემდეგში, ხოლო ავათმყოფი შემცდარ აზრს ვერ იშორებს თავიდან. განსაკუთრებით ილუზიები ხშირი არიან საწამლავებით და გადამდებ—ავათმყოფობათა ტოკსინებით სულიერათ დაავადების დროს.

მოჩვენება-ილუზიასთან ახლოს არი ბოდვა—გალუცინაცია. ამ უკანასკნელს გარეგანი გამომწვევი მიზეზი არ ჰირდება. ის სუბიექტიურია და ასეთი ანორმალური გძნობა, სიზმარში—კიარა, ცხადათ და დაჯინებით გადაიქვს ავათმყოფს არსებულს და ნაოცნებევ გარეგან საგნებზე- თითქო მას მართლადაც დაენახოს ამის სამიზეზო რამე, ან გაეგონოს, ან

ეგემოს, ან ეყნოსოს და, ან შეხებოდეს. გალუ-ცინაცია, თუ ერთ გძნობას ეხება, მაშინ ის იქნება უბრალო, მარტივი გალუცინაცია და, თუ რამდენიმე გძნობებს ეხება ერთად, მაშინ ის იქნება რთული. შინაარსის მხრით, გალუ-ცინაცია შეიძლება იყოს სასაშშრო, მქენჯნა-ვი, მომხიბლველი, ბძანებითი და სხ. ზოგ სულ-ით—ავათმყოფობის დროს, გალუცინაციას პირველი ადგილი უჭირავს, მაგალითად, მბოდავ სიგიჟის დროს (Галюцинаторное помѣтательство) და ზოგში—კი მეორე ხარისხის ადგილი უჭირავს, მაგ., დამბლით დაცემულის ბოდვა (dementia paralitica) და მოხუცებულობით გამოჩურჩუტებულთა ბოდვა (dementia senilis).

რამდენათაც სულით ავათმყოფობა მძაფ-რია (aiquë), ან ხელ—ახლათ მორეულია—იმდ-ენათვე გალუცინაცია ძლიერი და მკაფიოა, რამდენათაც ის მორჩენის გზას დაადგება, ან უიმედო ხდება (demense), გალუცინაცია—ბოდ-ვაც თან და თან კლებულობს და სიმკვიცრლ-ეს კარგავს. გალუცინაციებს იძულებითი-ძალ-მომრეობითი გავლენა აქვს სულით ავათმყო-ფზე, რომელიც კარგათ გძნობს, რო შეპყრ-ობილია თავის მტარვალი ფიქრებისგან: მთელი მისი ყურათღება და ნების-ყოფლობა შეპყრო-ბილი აქვს ბოდვას და არავითარ თავისუფლ-ებას არ აძლევს მათ.

ზოგ შემთხვევაში სულით-ავათმყოფი გძნობს, რო მისი ბოდვა ნორმალური არ არის-ავათმყო-ფურია, მარა, ამავე დროს. გძნობს თავის სრულს უძლურებასაც, რო თავი დააღწიოს ასეთ მდგო-მარეობას; სხვა შემთხვევაში ის ღრმათ დარ-წმუნებულია თავის გონიერების სიმთელეში და ნაირ-ნაირ მოსაზრებებს წარმოადგენას თა-ვის გონება მახვილობის დასამტკიცებლათ. გა-ონათლებელი წრიდან გამოსული სულით-ავათ-მყოფი თავის არანორმალურ მდგომარეობას აბრალებს პირდაპირ ეშმაკებსა და კუდიანების გავლენას, ხოლო განათლებული წრიდან გამო-სულ სულით—ავათმყოფებს თავის ბოდვის სა-განი უფრო ხშირათ მოსდით ღვთისა, ან კაცი-სგან-ელეკტრონით, მაგნიტო—ელეკტრონით, ტელეფონით, უმავთულო ტელეგრაფით და ჩაგონებით. საამო და უსიამოვნო გალუცინა-ციები ერთ და იმავე პირს შეიძლება ემართე-ბოდეს დიდი ხნის განმავლობაში და მოკლე დროშიაც. რამდენათაც უფრო შეგნებული აქვს ავათმყოფს თავის გალუცინაციური მდგო-მარეობა, იმდენათ მისი მორჩენის იმედი მეტია, რათგან ამ შემთხვევაში გალუცინაცია ნაყოფია არა სრულიათ დაზარალებული ტვინისა. საზო-გადოთ უნდა ითქვას, რო რამდენათაც დაძა-ბუნებული და დაყრუებულია ავათმყოფის გო-ნება, მით უფრო ხშირათ ემართება მას გალუ-ცინაციები. მარა გძნობათა ორგანოების დაავა-დების და გაღიზიანების დროსაც ხშირია გა-ლუცინაცია. ეს მით მტკიცდება, რომ ის ხში-რათ იმ კედრითაა, სპითაც დაზარალებული, ან გაღიზიანებული ორგანოა და მის მორჩენისთა-ნვე გალუცინაციებიც შეწყდებიან ხოლმე. მა-გალითად, თუ მოთმინებაში მყოფ ლოთს თვალზე თითი დააჭირეთ-ის ხედავს მოჩვენებებს და ჩაგონე-ბითვე ის კითხულობს მთელ სიტყვებს და წინა-დადებებს სრულიათ დაუწერელ ქაღალდზე. რათგან კაცის სულიერ ცხოვრებაში სმენას უდიდესი ადგილი უჭირავს, გალუცინაციაც განსაკუთრებით ხშირია ამ გძნობის სფეროში. როდესაც სულით ავათმყოფს არა სიტყვიე-რი ხმები ესმის, მაგ, კაკუნი, შხუილი, სისინი, კნავილი და სხ. ამათ უწოდებენ აკოაზმებს. — ეს ფორმა გალუცინაციისა ჩვე-ულებრივ სულით ავათმყოფობის დასაწყისში გამოჩდება ხოლმე და, თუ მას ავადმყოფი გასაკუთრებულ მნიშვნელობას არ აწერს— გარდა მისი არა ნორმალურობისა—მაშინ აკო-აზმი კარგი ნიშანია, ავათმყოფი მალე განიკუ-რნება. მარა, თუ გალუცინაცია გამოიხატება ხმების, მთელი სიტყვების და წინადადებათა გაგონებით, რომელთაც ავათმყოფი აწერს გასაკუთრებულ მნიშვნელობას, მაგ., სა-სიამოვნოს, უსიამოვნოს, დამტუქსველს, გამამხნევებელს, შეურაცხმყოფელს, მად-იდებელს და სხ., ავათმყოფის წარმოდგენით ეს ხმები და სიტყვები გასაზღვრული პირისგან მოისმის, გასაზღვრული მიზნით, გასაზღვრული დროდან და ადგილიდან, მაშინ გალუცინაცია მძიმე ავათმყოფობის ნიშანია და მორჩენაც მი-

სი, ან ძლიერ დაგვიანდება, ან შეუძლებელიც გახდება. მხედველობის გალუცინაციაც ხშირია და, გასაკუთრებით, ალკოგოლის, კოკაინის და მორფისგან მოწამვლის შემდეგ, ან დიდი სიცხისა და ნევროზების დროს, მაგ., ისტერიის, ავიზნის და ქორეს დროს.

როგორც ნარმალურ მდგომარეობაში, გალუცინაციის დროსაც, ყნოსვისა და გემოს გძნობები ერთად ხვდებიან. ახლათ შეყრილ ფსიხოზის დროს, როცა ავათმყოფს ცხვირ-პირი გამოთოშილი და სიცხიანი აქვს, გალუცინაცია ყნოსვისა და გემოსი არ არიან ცუდი ნიშნები, რათგან ადგილობრივათ შესაფერი წამლობის შემდეგ, გალუცინაციაც უკუდგება; ხოლო ქრონიკულ ფსიხოზის დროს, ის მძიმე ავათმყოფობის ნიშანია. ამ დროს სულით-ავადმყოფს მყრალი სუნი და ცუდი გემო ელანდება და ამისთვის პირს იკრავს და ნესტოებს ბამბით და სხ. რამეთი იტენის და ამის შედეგათ სმა-ჭამის დათმობაც მოსდევს ხოლმე.

შემდეგ, მოსახსენებელია შეხების და სქესობრივი გალუცინაციები, რომელნიც თითქმის ყოველ-გვარ სულით ავადმყოფობას თან ყვება სითბოსა ⁄ ტკივილის გძნობათა გალუცინაციები-კი გასაკურებით ქრონიულ ფსიხოზის და, სახელდობ, სისტემატიური ბოდვის დროს არი, როდესაც ავათმყოფი გძნობს აუტანელ-ტკივილებს, მას აბოდებს, თითქო გახურებული შანთით ჯგვერდენ, ან და ელეკტრონის ნაპერწკლებს სცემდენ.

არი გალუცინაცია მოძრაობის, ე. ი., ავათმყოფს წარმოდგენილი აქვს, თითქოს ერთი, ან რამდენიმე მისი ასოთაგანი, ან მთელი მისი სხეული მოძრაობდეს, ნამდვილათ-კი მოსვენებულია.. მაგ., გძნობს თითქმის ჰაერში მიექანება თითქოს ენა და პირი სალაპარაკოთ მოძრაობდეს და, ბოლოს, ავათმყოფი ასეთ ოცნებურ მოძრაობას ნამდვილსაც ზედ მიაყოლებს და, ამ ნაირათ, ავათმყოფი უნებურათ უაზროთ იგინება, იწყევლება და ფიცულობს, ან უნებური ფიქრები მოსდის და კიდეც ამბობს სიტყვით. მარა ყველაზე უფრო შესანიშნავი ისაა, რო გალუცინაციურათ ვითომ და ამუშავებული სალაპარაკო ორგანო იმდენათ შეპყრობილია ასეთი ოცნებური მდგომარეობით, რო ზოგ შემთხვევაში სალაპარაკოთ მისი ამოძრავება შეუძლებელი ხდება. ამის შედეგია მუტიზმი (დუმილი). ასეთივეა გალუცინაცია გრაფიული მოძრაობისაც (სხვა მოძრაობისაც ასეთივეა)!. ამ ავათმყოფობის დასაწყისში ავათმყოფი განიცდის ისეთ გძნობებს, თითქო წერდეს ასეთ, თუ ისეთ სიტყვებს და ამბებს. ავათმყოფობის მეორე საფეხურზე, იმდენათ გაღიზიანებულია ტვინში გრაფიული ცენტრი, რომ იბადება გრაფიული იმპულსი: ავათმყოფი ავტომატიურათ წერს და, შემდეგ, საფეხურზე იმდენათ გარემოცულია კაცის გონება, რომ ის ვერც ავტომატიურათ, ვერც ნორმალურათ წერას ველარ ახერხებს. ეს უკანასკნელი გასაკუთრებით ხშირია ქრონიულ ფსიქოზის დროს და ნიშნავს ფსიქიკის სრულს განადგურებას.

გალუცინაციის მექანიზმის ასახსნელათ ბევრი ტეორიებია. მარა ყველაზე უფრო დასაჯერებელია ის მოსაზრება, რომელიც გალუცინაციის მიზეზათ სახავს ფსიქო-სენსორიულ ცენტრების გაღიზიანებას, რის მიზეზით ხსენებული ცენტრები არა ნორმალურათ მოქმედებენ და თანაც ტვინის ქერქიდან რეგულატორი სადავე აკლია, ან შესუსტებულია.

(შემდეგი იქნება).

მკურნალი ხ. დადუნაშვილი.

შიო მღვიმელი.

საქართველოში საბავშო მწერლობასაც ძლივს ერთი დღესასწაული გაუთენდა. თფილისის ქართველმა მანდილოსნებმა, ამ წლის 14 თებერვალს, ოც და ათი წლის იუბილე გადაუხადეს ჩვენი საბავშო ლიტერატურის ერთს უანგარო მოღვაწეს, შიო მღვიმელს.

ოც და ათი წელიწადი შესრულდა, რაც შიო მღვიმელი გულდადებით და ერთგულათ მუშაობდა ქართულ საყმაწვილო ჟურნალებში -„ჯეჯილისა“ და„ ნაკადულში“ და იშვიათია მოსწავლე ბავში, რო მისი სახელი არ იცოდეს. ამ სიმპატიური ადამიანის სახელს ჩვენი მოზარდი ყმაწვილების გარდა, მათი დედებიც სიყვარულით მოიხსენებენ. რათგან პოეტი თავის პატარა ლექსებში სულ ბავშებს თავს დატრიალებს, ხალისიანათ უთვალისწინებს ნახულს და გაგონილს, აუწერს სოფელ-ქვეყნის ბუნებას, მთა და ბარს ბავშთათვის ადვილ გასაგები, უბრალო სიტყვებით, პატარა მოკლე წინადადებებში აზრს ცოცხლათაც დაუხატავს და ბავშთა სულსა და გულში პირ და პირ, ასე ვთქვათ, ძვრება.

შიო მღვიმელის ლექსებში გძნობანი წვრილ-წვრილათ, პაწია წვიმის, ან ნამის წვეთებათ წანწკლავენ და მალეც ქრებიან, და ვერც წარმოგიდგენიათ, თუ ეს ლექსები ვაშკაცი შიოს დაწერილებია. შიოს ლექსები ნიჟიერი, პატარა ბავშის დაწერილი გგონიათ და ეს არი სწორეთ ღირსებაც იმისი ლექსებისა.

ცნობის მოყვარე ბავშის სულსა და გულს აამაღლებს, ხასიათს გაასპეტაკებს მხოლოთ ის, რაც უბრალოთ, მარტივათ და ცოცხლათ დაუხატავთ ბუნებას და შეაყვარებთ მის დიდსა და მდიდარს მრავალფეროვანობას, კანტრასტებს.

ხელ უხლებელ ბუნების სიმდიდრის, შრომის შვილთა ცხორების, ფრინველთა და ცხოველთა სამეფოს მოზარდი ბავშების თვალსა და გძნობა-გონების წინ გაშლა და ამ შრომაში მათ მონაწილეობის მიღება ისეთი დიადი საქმეა, რომელსაც პირდაპირი, აღმზდელობითი, მორალური მნიშვნელობაც აქვს.

შიო მღვიმელი არარი ცრუ მოძღვარი, რომელიც ყოველთვის ჭკუას ძალას ატანს და ტენდენციურათ მიუწდომელს, მისტიკურს რამეებს ეტანება და აცდენს ტყუილუბრალოთ ბავშის გძნობა-გონებას.

შიოს ლექსებს უფრო ხალხური კილო და ხასიათი აქვს და ამით იგი უახლოვდება, ენათესავება რაფიელ ერისთავს, ვაჟა-ფშაველას, მის ძმებს და ირ. ევდოშვილს. ფორმა და შინაარსი ამ ლექსებისა ძალიან სადათ არი გამოთქმული და ბავშებიც ხალისით კითხულობენ შიოს ლექსებს. ხალხური სიტყვებით გამოთქმული ლექსები საამო და ტკბილი გასაგონიც არი ბავშვთათვის.

შიო მღვიმელის ლექსებში ტენდენცია არ არი-მეთქი, მოგახსენეთ. იქ ყოველივე გაშუქებულია ბავშის ცხოველმყოფელი გძნობიერებით და ფსიქოლოგიით.

აბა, გაიხსენეთ შიო მღვიმელის ლექსი-„ობოლი“, რომელიც გძნობიერათ არი დაწერილი და ჩაბეჭდილებასაც სტოვებს თქვენზე.

„მარტოდ-მარტოა ობოლი,
ზის და ქვითინებს მწარეთა,
მამა შინ არ ყავს საწყალსა,
დაც გამოსულა გარეთა.
გული ელევა საბრალოს
დისა და მამის ლოდინში,
ვერც კარი ჩაუკეტია,
ვერც ჩაწოლილა ლოგინში.
დედა—კი სხვაგან გონია,
შორს სადღაც სალოცავათა
და ვერ მიმხვდარა, თუ მამას,
რისთვის აცვია შავათა.
ღამეა. ქარი გრიალობს,
და ფინია ყეფს კარებზე;
შინ— კი პატარას შიშისგან
ცრემლი ჩამოდის თვალებზე.
რო დაიღლება ტირილით
და ჯდომა მოეწყინება,
კერას წინ ფარატინებზე
მიწვება, მიეძინება.

დედასა ხედავს სიზმარში,
ღიმილი მოდის პირზედა,
კაბის ღილს უხსნის, ძუძუზე
კოცნის და ეკვრის ჯინზედა,
რაკი დატკბება ალერსით
და მშობელ დედის ყურებით,
გულ—ამომჯდარი ტიტინებს
კალთაში საყვედურებით:
სად დამემალე, სად წახველ,
ვისთან იყავი დედაო?
სამი ღამეა მშიერი
ვიძინებ ზედი--ზედაო.
ყურს არვინ მიგდებს, ცალიერ
კუჭს ძლივას ვიძლობ პურითო,
რასაც ვჭამ, ისიც სავსეა
ნაცარითა და მურითო.
ნუღარსად წახვალ, დედილო,
შენს ძუძუს ვენაცვალევო!
თუ ფუფალასთან წახვიდე,
მეც შენთან წამიყვანეო...

შიო მღვიმელი, უმთავრესათ, საბავშო მწერალია. მარა თავის ლექსებში ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებსაც ეხება ავტორი. მოსაწონია იმისი პოემა „მუხა," რომელიც საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენს.

მუხა ესაუბრება კლდეს, ასეთი შვენიერი და მდიდარი ტყე მერტყა გარშემო და დღესაკი სადღაო და თითქმის სასოწარკვეთილი ამბობს:

„...გაქრა წავიდა ყოველი,
გარს ჭია-ღუა მარტყია...
რაღა სიკეთეს მოველი?..
ტყე-ჭალა შემომიკაფეს,
მეც არ მარჩენენ ტოტებსა,
რკოთი რო ღორებს აძღებენ,
ფოთლებს უყრიან ხბოებსა...„

ამ შეურაცყოფას ითმენს ბებერი მუხა. მარა პოეტი, რა თქმა უნდა, სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და ასეთი გამამხნევებელი სიტყვებით ანუგეშებს მუხას-სამშობლოს.

„რას დაგაკლებენ? ყლორტები
იბარტყვენ, დაიზდებიან:
ტანს აიყრიან ჭალა--ტყეთ,
გარშემო დაგიდგებიან;
კვლავ აყვავდება სიცოცხლე,
შენ შორის, ედემურურათა,
ტირიფი, წაბლი და რცხილა
გადაგვეხვევა ძმურათა...

ჩვენ აქ ადგილიც არაგვაქვს, შიოს ლექსებიდან სამინუშოთ კიდევ ამოვწეროთ რამე. ეს ორი ლექსიც უმტკიცებს მკითხველს, რო შიო მღვიმელი გძნობიარე და მოსიყვარულე გულის პატრონია.

შიო ღარიბი ღვდლის, ილარიონ ქუჩუკაშვილის შვილია. დაიბადა 1868 წ. ქართლში, სოფ. ბრეთს. ექვს წლამდი თავის მამის სახლში იზდებოდა, სოფ. ვარიანში. შვიდი წლის რო შეიქნა, უფროსმა ძმამ მიაბარა სოფ. შილდის (კახეთშია, გაღმა მხარში) სკოლაში, სადაც პატარა შიო სოფლის გლეხთა ბავშებთან ერთად სწავლობდა ორი წელიწადი.

1881 წ. შიოს სადიაკვნოთ ამზადებდენ. მარა ერთი მახლობელის (შიო დავითაშვილის) რჩევით, იგი გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა. სემინარიაში შიომ ბევრი გაჭირვება გამოიარა. დასაძინებელი ადგილი არაქონდა და ამიტო, ხან სამზარეულოში, ხან საავათმყოფოში ეძინა. სამაგიეროთ, კარგს ამხანაგებში (ვაჟა, თედო და ბაჩანა) მოუხდა ცხოვრება და ამან ხელი შეუწყო მის გავითარებას. საოსტატო სემინარიის კურსი შიომ 1887 წელს დააბრულა.

მამით დაობლებულმა ჭაბუკმა, ობლობის დიდი სიმწარე ადრე იგძნო და ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლათ ზრუნვასა და ფიქრს შეუდგა.

1887 წ. შიო თფილისს ჩამოვიდა და ქ. შ. წ.-კით. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში ჩადგა, რომელსაც 1909 წ. განაგებდა. მაღაზიაში ჩამდგარი შიო გულ მოდგინეთ შეუდგა თვით გავითარების საქმეს და, თუმცა ხელმოკლეთ ცხოვრობდა, მარა გონებით გავითარდა. რაც სკოლის აღზდას არ მიუცია შიოსთვის, ის ცხოვრებაში მოიპოვა და შეისრულა, მუყიათი და ერთგული შრომით. მწერლობაშიც გზა გაიკაფა და დღეს იმის ოცდა ათიწლის სალიტერაშურო დღესასწაულს იხდის თფილისი და ქუთაისი.

აჭარლების საკითხი სახელმწ. დუმაში*).

(წერილი პეტროგრადიდან).

დიდიხნის მოლოდინის შემდეგ, 9 თებერვალს კვლავ გაიღო თავრიდის სასახლის კარები სახალხო წარმომადგენლობისთვის. თუ, რა გვარი გარეგნული ზეიმით იყო მოწყობილი ეს დღე—უკვე იცის მკითხველმა საგენტოს დეპეშიდან. მას, რასაკვირველია, უფრო აინტერესებს სხვა საკითხები: როგორ შეხვდა ფართე დემოკრატული და ლიბერალური წრეები დუმის გახსნას? სუფევდა ის აფთოვანება მრავალი მომხიბლავი იმედები —რომლითაც საზოგადოება შეხვდა დუმის გახსნას შარშან, 19 ივლისს—როგორი იყო თვით დუმის სულიერი განწყობილება? რა თქვა თითოეულმა ფრაქციამ, გასაკუთრებით-კი სოც. დემოკ. ფრაქციამ, რომლის წარმომადგენელის, კარლო ჩხეიძის სიტყვა ცენზურმა არ გაუშვა—დღეინდელ სერიოზულ მომენტზე? რა გზა და საშვალებანი გამონახეს თითოეულმა მათგანმა—რუსეთის იმ ჩიხიდან გამოსაყვანათ, რომელშიაც ის ჩავარდა. დიახ, რომ ეს საკითხები მეტათ სერიოზული და საინტერესოა და ჩვენ შემდეგ წერილში ვრცლათ მოველაპარაკებით მკითხველს მათ შესახებ. მხოლოდ ახლა-კი მისი ყურათღება უნდა შევაჩერო ჩვენს „შინაურ“ ტკივილზე—აჭარლების საკითხზე.

ჩვენმა მკითხველმა კარგათ იცის, თუ, რა დაჯინებით ცდილობდა სამი ივნისის დუმის დიდი უმრავლესობა, ის უმრავლესობა, რომელსაც ქუთაისის ბწყინვალე წოდება, აწ თვისი ისტორიული დეპეშით თხოვდა ჩვენი ქვეყნის საქმეების დუმაში დაცვას—ამ საკითხის მიფუჩეჩებას და, ვინ იცის, ელირსებოდა-კი მას ოდესმე საკანონმდებლო დაწესებულების ტრიბუნა, თუ არა ისევ დაუღალავი დეპუტატი, აკ. ჩხენკელი, რომელმაც ისარგებლა შემთხვევით და აჭარლების საკითხი დაუსვა დუმას 11 თებერვლის სხდომაზე. დუმის უმრავლესობას, არაფრათ ეჭაშნიკა ეს მისთვის მოულოდნელი შემთხვევა. მარა დეპუტატის შვენიერმა სიტყვამ მეტათ გულწრფელი ტონით წარმოთქმულმა, მის მიერ მოტანილმა ფაკტებმა მიიზიდა დუმის ყურათღება და ისიც ვულდასმით ისმენდა დეპუტატის მწარე სიტყვებს.

განა საკოდავი არ არიან ის ლიბერალი პროფესორები, პატენტიანი პოლიტიკოსები და ბურჟუაზული მეცნიერები, რომლებმაც დიდი ზეიმით გამოაცხადეს ინტერნაციონალის გაკოტრება? განა მეტი გაკოტრება იქნება—რაც ნაციონალიზმს მოუვიდა? მისმა გასისხლიანებულმა კბილებმა მთელი სოფლიო ააცახცახა და, ვინ იცის, ჯერ კიდევ, რას უქადის ის კაცობრიობას. ყოველივე ეს სარკაზმით მოიხსენია დეპუტატმა და გადავიდა აჭარლების საკითხზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი არის ამასთანვე საქართველოს საკითხი, რომელსაც უმოწყალოთ მოსჭრეს ნაწილი სხეულისა. მან მოლია ქართველი ერი, რომელიც აურაცხელ სხვებს წირავს რუსეთის მთლიანობას...სახლ-კარი გადაბუგულია და ერთ დროს შრომის მოყვარე აჭარელის მიერ აყვავებული კუთხე გავერანებულია. ყოველივე ამის მოწმეთ, სხვათა შორის, დეპუტატმა დაასახელა სახ. დუმის თავმჯდომარის ამხანაგი, ბ. ვარუნ-სეკრეტი (აკ. ჩხენკელის სიტყვის დროს ის თავმჯდომარეობდა), რომელმაც აჭარაში ყოფნის დროს თვით იხილა იქაური უბედურება. ამ რიგათ, განადგურდა ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის და კულტურის უძველესი აკვანიო—აღელვებით წამოიძახა დეპუტატმა...

როცა ქართველმა საქველმოქმედო საზოგად. განიზრახა ტანჯულ მოძმეთა ტკივილების შესუბუქება—მას ამის ნება არ დართეს და საზოგად. რწმუნებულები იძულებული იყვენ ფარულათ შესულიყვენ აჭარაში...

ასეთივე ბედი ეწვია ყარსის ოლქსაც, რომლის შესახებ დეპუტატმა განუცხადა დუმას, რო სურათი ერთი და იგივეა, მაზე აღარ შევაჩერებ მკითხველის ყურათღებასო.

დღეინდელმა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ კარგათ დაინახა, როგორ იყო აჭარლე-

*) იხ. „თანამედ. აზ.“, № 43.

ბის მოღალატობის ისტორია და შეუდგა ამ საქმის გამოსწორებას... მრავალი აჭრლები ოსმალეთში არიან იძულებით განდევნილი და მათი სამშობლში დაბრუნება ქართველი საზოგადოების მორიგი, მწვავე საკითხია და, აი, დეპუტატი ეკითხება გარეშე საქმეთა მინისტრს, ბ-ნ საზონოვს — ფიქრობს, თუ არა ის მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე აღძრას საკითხი მათი სამშობლოში დაბრუნების შესახებ, თუ კიდევ განმეორდება ის, რაც მოუვიდათ ქართველებს 50 და 70 წ.წ., როცა ათი ათასობით ქართველები განდევნილი იქნენ სამშობლოდან. არა იმისთვის შეუერთდა საქართველო რუსეთს, რო მის მიმართ მეოცე საუკუნეში გამეორდეს გამანადგურებელი ექსპერიმენტებიო, — დასძინა დეპუტატმა.

ა. დ.

მისაბაძი მაგალითი.

ჟურნალი „ცხოვრება“ მთელი წლით გაუწერეს: 1) პადპალკოვნიკმა მიხაილ ნიკოლოზის ძე კვეზერლმა-კოპაძემ სოფელ ფარცხისის (თფილისის მაზრა) საზოგადოებას; 2) კონსტანტინე ვაგუამ-სალხინოს (ოდიში) სამკითხველოს და 3) გიორგი ებრალიძემ ლანჩხუთის (გურია) სამკითხველოს.

მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში*)

(შემდეგი).

ჩვენ არ ვიტყვით, რო საქართველოს ეკლესია მე XVII-XVIII საუკუნის განმავლობაში სანატრელ მდგომარეობაში ყოფილ-ყოს, რო მამადიანთა ბატონობას ხელი არ შეეშალოს მისთვის სასურველათ დაეყენებია ხალხში სარწმუნოება-ზნეობის განმტკიცებას საქმე, - რო მამადიანთა ბატონობას ხალხის ზნეობაზე არ ქონოდეს ცუდი გავლენა.. მარა, მიუხედავათ ამისა, ისიც არ შეიძლება ითქვას, რო საქართველოს ეკლესია უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა და ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას. არ შეგვიძლია ვთქვათ, რო მაშინდელი მდგომარეობა ეკლესიისა არ ჯობნებოდა აწენდელ მის მდგომარეობას, როდესაც საღვდელოება საღვდელმოქმედო წიგნებსაც ვერსად შოულობს, - როდესაც ავერ ათი წელიწადია ვბეჭდავთ კურთხევანს და ვერ ვღირსებივართ მის დამთავრებას. დევნულობა ხშირათ განამტკიცებს სარწმუნოებას, - ხალხს აძლევს მხნეობას დაიცვას თვისი ეკლესია, - დევნულობის დროს. ხშირათ სარწმუნოება უფრო ბწყინავს, ვიდრე მშვიდობიანობის დროს. მარა ყველა ეს შეიძლება მოხდეს მხოლოთ მაშინ, როდესაც იდევნება თავისუფალი, თვით მოქმედი ეკლესია, რომელიც ახლა, საუბედუროთ, არ არი.

ჩვენ უნდა წამოვაყენოთ საკითხი: საქართველოს ეკლესია მართლა ასე დამბლა დაცემული, უმწეო და უნუგეშო მდგომარეობაში იყო, როგორც ამას გვისახავდენ მმართველ ეკლესიის წარმომადგენელნი კრების წინასწარ სხდომების დროს? საკმარისი არ არის აბრიორული მსჯელობა. საჭიროა დავეკითხოთ საბუთებს.

რა მდგომარეობაში იყო განათლების საქმე საქაროველოში, საზოგადოთ და, კერძოთ, საღვდელოებაში, ამის თაობაზე წინასწარ კრებას წარუდგინეს თავიანთი დასაბუთებული მოხსენებანი პროფესორებმა მარმა და ხახანაშვილმა 6), ხოლო იმის თაობაზე, რა ნაირათ ეპყრობოდა მამადიანთა მთავრობა სპარსეთის შაჰები და ოსმალეთის სულტნები ქრისტიანულ სარწმუნოებას და, ან რა ნაირი იყო თვით სარწმუნოება საქართველოში, ყველა ეს დაასაბუთა პრფ. ცაგარელმა 7). ამ მოხსენებებიდან ნათლად ჩანს, რო

*) იხ. „ცხოვრება“, № 4.

6) Протоколы Предсоб. Присут. т. III. отд II, 101. 170-175 და 192-203.

7) ibid გვ. 160-170.

საქართველოში განათლება არც ისე დაცემული იყო, როგორც ამას უსაბუთოდ, მარა დაჯინებით, უმტკიცებდენ კრებას პროფესორ-ვანონისტები 8). პირიქით, XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი და თლად მე XVIII საუკნე, აკადემიკოსი მარრის თქმით, ქართველთათვის წარმოადგენდა დიდ გონებრივათ გავითარების ხანას, რომელმაც განაცხოველა მათი სასულიერო ლიტერატურაც 9). მრავალთ არი დაცული იმ-დროის გონებრივი ნაწარმოებნი საღვთის მეტყველო, საფილოსოფიო, სამისიონ. ერო და სალექსიკონო შინაარსის თხზულებანი ორიგინალურნი და ნათარგმნი.

ოსმალები და სპარსელები ზოგჯერ იმორჩილებდენ ქართველებს, ეპყრობოდენ მათ, როგორც ძალით დამონებულებს. მარა ისინი არ ართმევდენ ივერიის ეკლესიას იმ პრივილეგიებს და უფლებებს, რომელნიც მას ქონდა მინიჭებული და შენახული ძველის დროიდან. შაჰები თავის ფირმანებით უმტკიცებდენ ეკლესიას იმ ქონებას, რომელიც მას ქონდა: ვალათ უდგენდენ შეენახათ თვისი საეკლესიო წეს-წყობილება, უფლება, ჩვეულება, და უპირატესობანი. კათალიკოზს ირჩევდა ხალხი, ე. ი., ეპისკოპოზები, საღვდელოება და ერი და არჩეულს შაჰი დაუბრკოლებლათ ამტკიცებდა. ხალხსაც ვალათ უდგენდა, რო კათალიკოზის მორჩილებაში ყოფილიყო. ასევე იქცეოდენ ოსმალეთის სულთნებიც 10).

მართალია, იყო მაგალითები, როდესაც მეეფები ერეოდენ საეკლესიო საქმეებში. მარა საღვდელოება ყოველთვის ამის წინააღმდეგი იყო და მედგრათ იცავდა ეკლესიის თავისუფლებას. მაგალითად, მეფე ვახტანგს უნდოდა დაენიშნა კათალიკოზი. მარა ამას წინა-აღუდგენ ეპისკოპოზები და საღვდელოება, შეიკრიბენ, აირჩიეს კათალიკოზათ დომენტი და მეფეც აიძულეს დაემტკიცებია არჩეული კანდიდატი 11). საბუთები ნათლათ გვიჩვენებენ, რო მამადიანთა ბატონობის და არეულობის დროსაც დიდ მნიშვნელოვანი საქმეები წყდებოდა საეკლესიო კრებებზე 12). აღსანიშნავია-რომ ამ კრებებში მონაწილეობას იღებდენ არა მარტო საღვდელოების წარმომადგენელნი, არამედ ერის კაცნიც 13).

საქართველოს ეკლესია მდიდარი იყო მამულებით. ამ მამულებს სახელმწიფო გადასახადებისგან ყოველთვის ათავისუფლებდენ, არამც თუ მართლ მორწმუნე მეფეები, არამედ გამამადიანებულებიც-კი. ეს, სხვა წყაროების გარდა, მტკიცდება გუჯრებიდან, რომელთა რიცხვი აუარებელია. ამ მამულებიდან ეკლესიას იმდენი შემოსავალი ქონდა, რომ ის მატერიალურათ უზრუნველ ყოფილი იყო. ბოროზდინის მოწმობითაც იმ დროს, როდესაც სამეგრელოს ეპარქიას განაგებდა მიტროპოლიტი დავითი (წერეთელი) და, როდესაც საეკლესიო მამულების საქმე ძალზე არეულ-დარეული იყო, მარტვილის კათედრას მარტო გლეხებისგან, ხორაგეულობით (პური, ღვინო და სხ.) შემოსავლის გარდა, ფულათ შემოდიოდა წელიწადში 12 ათასი მანათი 14). სამეგრელოს ეკლესიას ეკუთნოდა 17058 დესეტინა ადგილი, რომელზედაც სახლობდა 5044 კომლი გლეხი. ამის გარდა, მაცს კუთვნილებას შეადგენდა 17263 ქცევა მიწა სახნავ-სათესი, ვენახები და ტყეები, რომელთაგან მარტო ხობის და ცაიშის მონასტრების კუთვნილი ტყეების ღირებულება უდრიდა მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში ნახევარ მილიონ მანათს. ამას დაუმატეთ სხვა და სხვა წყაროები შემოსავლისა: შენობები, საბაზრო

8). მაგ., პროფ. ბუტკევიჩი, რომლის უვიცობა საქართველოს ისტორიაში, არა მეცნიერული და არა საკადრისი მეთოდი გამოკვლევისა ნათლად დაგვანახა პროფ. მარმა (ibid. 101-106)

9). ibid. 168.

10). ibid. 161-162

11). ქართ. ცხ. ბროსეს გამოცემა II, 71

12) ibid. 195 და წინასწარ კრების მოხს. პროტოკოლები-194-195.

13) ფურცელაძე. Церк. Грамоты-136 და. 141; თ. ყორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორ. საბუთები გვ, 188. Журналы и Протоколы Прецы. Прдсоб. ტ II, განყ. II, გვ. 161..

14). ბოროზდინი. Закавказскія воспоминанія. Мингрелія и Сванетія (პეტერ. 1885) გვ. 104.

ადგილები, სათევზო ტბები და სხ. 15). და დარწმუნებით, რო სამეგრელოს ეკლესია ქონებრივათ უზრუნველ ყოფილი იყო 16).

15) Дѣло по Управл. Госуд. Имуществами о принятіи Въ Казну Мингрельс церковныхъ имѣній 27.26 Ноября 1878 г. № 3338, გვ. 1-10.

16) თუ იმ დროს მარტო ხობის და საიმის მონასტრის ტყეები ღირდა ნახევარი მილიონი, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს მამულები ახლა ეღირებოდა არა ნაკლებ 1 1/2-2 მილიონისა. თუ იმ დროს სამეგრელოს საეკლესიო მამულები იძლეოდენ მარტო ფულათ 27 ათას მანათს (იხ. ზემოხსენებული „Дѣло..") ახლა რამდენათ მეტი უნდა ყოფილიყო მათი შემოსავალი? მაშინდელი 27 ათასი მანათი, სულ უკანასკნელი რო ვთქვათ, უნდა უდრიდეს 100-150 ათას მანათს, რათგან იმ დროს ჩაფი ღვინო ფასობდა 15 კაპ Дѣло Имер Еп. Канцеляріи за 1828-1830 г. №64), ბათმანი სიმიდი-7 კაპ. (Д. Им. Еп. К. 1837г. №105) 1843 წ. 5 ბათმანი პური და 66 1/2 ჩაფი ღვინო მთავრობამ შეაფასა 29 მ. 16 3/4 კ. (Д. Им. Еп. К. 1843 г. №211. იხ აგრეთვე იმავე კანცელარიის საქმეები-1824 წ. №68 და 1841წ. №9), ე. ი., ბათმან პურზე მოდიოდა არა უმეტეს ერთი აბაზისა.- ახლა ამას მიუმატეთ ღირსებულება ხორაგეულობით შემოსავლისა (პური, ღვინო და სხვა), რაც 27 ათასი მანათში არარის ნაანგარიშევი, და ძვირფასი ტყეები და მაშინ ნათლათაც და-ვრწმუნდებით, რომ ამნაირი სიმდიდრე სამეგრელოს ეკლესიისთვის მომავალში შეიძლება იყოს მხოლოთ ოცხების საგანი.

რო კიდევ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ სიიაფე მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში და ღირებულობის თან და თანობითი ზდა, ჩვენ მოვიტანთ აქ იმ ნიხრს 1794 და 1845 წლებისას, რომელიც შეუკრებია პლ. იოსელიანს:

	1794 წ.	1845 წ.	1794 წ.	1845 წ.
კო. ფქვილი	გირ. 8-60 კ.	—1მ. 20 კ.	ბატი	—20კ 50კ.
ყოდი ქერი	40კ.	—80კ,	ინდოური	— 30კ. 80კ.
თუნ. ღვინო.	საუკეთ. 20კ.	—40-ერ. ლიტ.	(9 გირ.)ძროსაშვალო.	ღირსებისა 15კ.-30კ.
თხის ხორცი	-15კ.-25კ.	-მესამე ხარისხისა 10კ.	—20კ.	—ცხვრის ხორცი 16კ.-27კ.
1 ლიტ.(9 გირ.)ხიზ.	40კ.-2 მ. 25კ.	ძროხ. ერ. 1 გირ.	5კ. 10	ქათამი
	—10კ.	—30კ.	სამარხვო ზეთი	—5—10კ,
წიწილა	—2კ.	—10კ. 10	კვერცხი	—2 1/2კ. 10კ.

(იხ. Закавказ. В. 1845 წ. № 5, გვ. 41).

შეუდარეთ ეს ნიხრი აწინდელ ფასებს და მაშინ დარწმუნდებით, რა დიდი ღირებულობა უნდა ქონოდა ახლა საქარ. ეკლესიის იმ ადგილ-მამულებს, რომელნიც ჩამოერთვა მას და, რა დიდი უნდა ყოფილიყო ახლანდელი მათგან შემოსავალი!

აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიის ქონებრივი მდგომარეობა კიდევ უკეთესი იყო. 1799 წელს მარტო თელეთის წლიური შემოსავალი უდრიდა 16 ათას მანათს 17) და განა შეიძლება ითქვას, რო საქართველოს ეკლესია ქონებრივათ უკიდურეს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილიო.

თვით ქონებრივათ უზრუნველ-ყოფილი ეკლესია, გარდა ხალხის ზნეობრივათ ამაღლებისა, ცდილობდა ეკონომიურათ გაეუმჯობესებია თვისი სამწყსო. „მის მოვალეობათ ითვლებოდა საზოგადობრივი ძალღონით და-ემყარებია საერთო ეკონომიური კეთილ-დღეობა. მონასტრები და ტაძრები ასახლებდენ თავიანთ მიწა-წყალზე უთვისტომო, უმამულო მოსახკარეს, შეძლებული პირნი აშენებდენ ეკლესიებს, სწირავდენ მამულს მონასტერს და თვით, ან მისი ძმა, შვილი ყმათ ეწერებოდენ. ეს ყმა რჩება თავისუფალ მომქმედ პირათ: მას შეუძლია მოწმათ ყოფნა, ვალის აღება, მამულის გაყიდვა ეკლესიის ნებართვით" 18). საეკლესიო გლეხები იწოდებოდენ ეკლესიის შვილებათ 19). მათი მდგომარეობა გაცილებით უფრო კარგი იყო, ვინემ სათავადო გლეხებისა. ეკლესია მათ უფრო კაცობრიულათ ექცეოდა, შელავათს აძლევდა ხარჯის გადახდაში, ათავისუფლებდა, ან მცირე გადასახადს ადებდა მამულის სასარგებლოთ" 20). ამისთვის საბატონო ყმები იპარებოდენ და ეწერებოდენ საეკლესიო ყმებში 21), თავის ნებით იდებდენ საეკლესიო გადასახადს 22), მათ ქონდათ ხმა საეკლესიო

17) დ. ფურცელაძე. Груз. Крестьян. Грамоты გვ. 72.

18). ხახანაშვილი. გუჯრები (ქუთ. 1891.) გვ. X—XI.

19). ibid. 127 და 128; დ. ფურცელაძე. Груз. двор, Грамоты, 36 და 39; თ. ჟორდანია. ქრონ. II, 227 და 239 და სხ. იყო სახელწოდება „-მონასტრის შვილი(ქრ. II, 278), „მცხეთის შვილი" (ib. 226 და 403) და სხვ.

20). ალ. ხახანაშვილი. გუჯრები გვ. XI—XII.

21) ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიის ისტ. საბუთები (ფოთი. 1903.) გვ. 45, 102, 111, 127, 129,-132, 148, 154, 159, 160, 199 და 214; საქარ. სიძველენი ტ. II, 146 და სხ.

22). ჟორდანია ქრ. II, 148 და 482.

მამულების მართვა შიაც 23). ეს იყო მიზეზი იმისა, რო საქართველომ არ იცოდა გლეხების აჯანყება ეკლესიის მთავრობის წინააღმედეგ და, როგორც მოგვითხრობს ერთი გუჯარი, საქართველოში არ ყოფილა მაგალითი, გლეხს არ გადაეხადოს საეკლესიო გადასახადი 24). საღვდელოება, შეძლებრს გვარათ, ზრუნავდა ხალხის ინტერესებისთვის, მისი ზნეობრივათ ამაღლებისთვის. იბძოდა წინააღმდეგ ცრუმორწმუნეობისა 25), მევახშეობისა 26) და, საზოგადოთ, „სჯულის გადამავალი ბოროტმოქმედებათა 27). საღვდელოება იყო მტერ- მოძულეთა შემრიგებელი 28) და მეფედიდებულთა მამხილებელი 29). ვინც არ შეინანებდა შეცოდებათა და არ გასწორდებოდა, ეკლესიიდან განკვეთდენ 30), ან საკანონოს დაადებდენ 31). მედგრათ იბძოდა ტყვეთა ვაჭრობის წინააღმდეგ 32). 1747 წ. ზოგიერთი თავად-აზნაურთა ვანნი აძლევენ კათალიკოზ ანტონი პირველს პიროობას, მოსპონ ტყვეებით ვაჭრობა და, სხვათა შორის, ამბობენ: „ჩვენს ოჯახსა და ყრმასა და მამულში მრავალი ბოროტი საქმე და უკეთურება იყო: ტყვის ყიდვა, კაცის კვლა, კაცთა ცარცვა, მრუშობა და მრავალი სჯულის გარდამავალი ბოროტი მოქმედება. თქვენც თქვენის ერის გულისთვის თავი დაგედვათ, მობძანდით ჩვენს ოჯახში, როგორც თქვენგნით მართებული იყო, გვიბძანეთ, გვასწავეთ და დაგვმწყსევით. ჩვენც ეს პირობა მოგახსენეთ და დავდევით... დღეს ამას იქით არც გავერიოთ ტყვის სყიდვაში, არც კაცის კვლაში და, რაც ჩვენი უკეთურება და ბოროტი ჩვეულება იყო და ღვთის განსარისხებელი საქმე, ყველაზე ხელი ავიღოთ და მოვიკვეთოთ. თუ თქვენს მცნებას გარდავიდეთ, რაც ერთს კაცსა და ავაზაკს გარდახდებოდეს, ისე ჩვენ გარდაგვახდევინეთ 33). 1794 წ. ანტონი ჭყონდიდელის თავმჯდომარეობით მოხდა კრება, რომელზედაც ეკლესიამ შეაჩვენა ტყვეთა გამყიდველნი. კრებამ მიიღო ზომები თავის დადგენილების უზრუნველსაყოფელათ. ტყვეთა მყიდველთ აღუკრძალა ქორწინება, ზიარება, ქრისტიანულათ დამარხვა. ამან იქონია თვისი კეთილი შედეგი. დადიანმა მისცა პირობა, რო ტყვეთა გამყიდველთ საეკლესიო სასამართლოს გარდასცემდა 34). ეკლესია ცდილობდა დაეხსნა მტერთაგან ტყვეობაში ჩავარდნილი გლეხნი 35).

23). კათალიკოზ-პატრიარქის ნიკოლოზ მაღალაშვილი ქადაგ გედეონს აძლევს სოფ. ჩოჩეთის და გორის მამულებს „ნება დართვიოაყოველთა მცხეთის შვილთათა“ (ქრ. II, 403).

24). ფურცელაძე. Цер. Гуджары გვ. 27.

25). ხახანაშვილი. გუჯრები X, 80 და 81,. ღვ. ბ. კარბელაშვილი. ირაკლია საქარ. ეკლესიისა გვ 179-184, სადაც მოტანილია ანტონ ქათალიკოზისგან შედგენილი დარიგება ღვდელ-მთავართა მიმართ და დაბეჭდილი 1767 წ. ყველა ეკლესიებისთვის დასარიგებლათ; Акты археогр. Ком. ტ. I, 46-47. აქ მოტანილია იმერეთის კათალიკოზის მაქსიმეს წერილი უდაბნოს მამის იობის და ერკეთის წინამძღვრის ბესარიონისადმი. წერილში, სხვათა შორის, მკითხაობის წინააღმდეგ სასტიკ ბძოლაზეა ნათქვამი. წერილი, დაწერილია 1777 წელს...

26) ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომ. ისტორია (თფ. 1907 წ.) გვ. 36 და 37. თუმცა აქ მოტანილი მაგალითი ეხება X-XIII საუკ., მარა, ვფიქრობთ, შემდეგ საუკუნეებშიც საღვდელოება წინააღმდეგი იქნებოდა მევახშეობისა.

27) акты арх. К. ტ. I, 55-56.

28) ქარ. Ცხ. II, 19, 181, 222, 227, 265..; ქრ. II, 463 და 465; Сборникъ законовъ ц. Вахтанга VI, გვ. 95 (ადბუღას სამართალი). ჟორდანია. ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი გვ. IX-X.

29) ქარ. Ცხ. II, 79; პლ. იოსელიანი. Описаніе древностей г. Тифлиса გვ. 173-174; ბ. კარბელაშვილი. ხსენ. თხზ. გვ. 131, 137, და 138. სხ.

30) დ. ფურცელაძე. Гуджары-151.

31) ibid. 21, 23, 46. 80, 91, 144-5, 147 და 152; ხახანიშვილი. გუჯრები. 146, 14 და 150; ქრ. II, 240, 255, 274-276, 286, 446... და Законы Каталикосовы см. сборникъ законовъ ц. Вахтанга გვ. 130.

32) დ. ფურცელაძე. Гуджари. 149, 152 და 153 და ჟორდანია. ქრ. II, 477-478.

33) Акты арх. к. ტ. I, 55-56.

34) ჟორდანია. ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი გვ. IX და ხახანაშვილი. გუჯრები-XII-XIII.

35) დ. ფურცელაძე. Гуджары-75, 90,135, 149 და 154; ქარ. Ცხ. II, 274; Чтенія въ ИмеР. общ. исторіи и древностей россійскихъ при Моск. университетѣ. 1887 წ. წიგნი 2. статейный списокъ свящ. Павла Захрьева გვ. 369.

ამის ხარჯი ეკლესიის დადგენილებით, ეწერებოდა იმ მამულს, რომელზედაც ცხოვრობდა გლეხი ტყვეობაში ჩავარდნამდი 36). აქ საინტერესოთ მიმაჩნია მოვიტანო ქაიხოსრო ყიფიანის ჩემთვის ნამბობი, რომელიც ნათლათ გვიჩვენებს იმას, რო საღვდელოება ტყვეთა გამოყიდვას თავის უპირველს მოვალეობათ თვლიდა და ამისთვის არაფერს ზოგავდა.

ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ქუთაისის ციხეში დამკვიდრდენ ოსმალონი. ციხის გარნიზონის უფროსათ იყო ფაშა, რომელიც ვალდებული იყო ყოველ წლობით ეგზავნა ხონთქრისთვის 30 ქალ-ვაჟი. ერთხელ, როდესაც ფაშას გამზადებული ყავდა ტყვეები გასაგზავნათ, გენათელმა გაუგზავნა მას დეკანოზი ნიკოლოზ კანდელაკი და თხოვა ფაშას, ტყვეები დაეხსნა მისთვის. დეკანოზის მოსვლა მოახსენეს ფაშას, მანაც დაუყოვნებლივ მიიღო გენათლის გამოგზავნილი. ფაშას სადილი მზათ ქონდა, სუფრაზე ახლათ მოხარჩულ ძროხის ხორცს ოხშივარი ადიოდა. ფაშის კითხვაზე დეკანოზმა მოახსენა მისი მიზანი გამოგზავნისა.

„ჯერ სადილი მიირთვი და, შემდეგ, ყველა ტყვეებს გავუგზავნი გენათელსაო“, უთხრა ფაშამ დეკანოზს. დიდი ოთხშაფათი იყო და ფაშას ეგონა, რო სასულიერო პირი არ გატეხს მარხვასო და ამისთვის გაბედულათ მისცა ამნაირი პირობა.

-ამის ჭამას დღეს სიკვდილი მირჩევნია, უპასუხა დეკანოზმა. მარა, თუ ამაზე მიდგა საქმე და მხოლოთ ამით შეიძლება ტყვეების დახსნა, თუნდაც ვიცოდე, რო წავწყდები აუკუნოთ, მაინც ვჭამ. მარა მეშინია, ამის შემდეგაც არ მომცე ტყვეებიო.

ფაშამ შეფიცა ხონთქარის თავი და სარწმუნოება. ამ მამადიან-ოსმალთათვის მტკიცე და დაურღვეველი ფიცის შემდეგ, დეკანოზმა ისადილა ფაშასთან. ფაშამ შეასრულა თვისი სიტყვა: უბძანა გამოეყვანათ ტყვეები, გაატანა მცველები და გაგზავნა. წყალწითელას, რო გაცილდენ, დარაჯები დაბრუნდენ, რათგან ეს მდინარე საგენათლო მამულების საზღვარი იყო. მხიარული გენათელი ეკითხება, რამდენი უნდა გადაეხადა მათი დასახსნელი. დეკანოზის სიტყვაზე, რო ტყვეები უსასყიდლოთ გამოგზავნა ფაშამო, გენათელმა ძალიან გაიკვირვა და უზომო სიხარულს მიეცა. მეორე დღეს გენათელი მწირველი ბძანდებოდა და დეკანოზსაც უბძანა, მომზადებულიყო საწირავათ. უკანასკნელი უარზე იყო და უპასუხა, რო მას იმნაირი საქმე შეემთხვა, რო ღირსათ არ თვლის თავის თავს ამ დიდი საიდრმლოს შესრულებისა და უამბოყოფილი. გენათელმა ანუგეშა დეკანოზი, რო მას ჩაუდენია ნამდვილი ქრისტიანული საქმე, ამდენი ქრისტიანი დაუხსნია სამშობლოს მოშორებისგან,- გამამადიანება-წაწყმედისგან და რომ ამისთვის მისგან ჩადენილი, არამც თუ ცოდვათ არ ჩაითვლება, არამედ ღირსეულათ იქნება მიღებული ზეცათა მეუფისგან და უბძანა მომზადებულიყო წირვისთვის 37).

კათლიკოზები იყვენ მფარველნი დაჩაგრულთა, დასჯილთა და სასიკვდილოთ გამზადებულთაც 38). ეკლესიას დაკათალიკოზეპისკოპოზებს ქონდათ შენახული უფლება შეევედრებულ. ხელ-უხლებლობისა 39). ისინი იყვენ ხალხის შუამდგომელნი შაჰების და სპარს-ოსმალთა მეუფროსეთ წინაშე 40). საღვდელოება იყო მზრუნველი ქვრივ-ობოლთათვის 41). აღაპების მიზანი, უმთ-

36). დ. ფურცელაძე. Гуджары-17-18

37) ეს განსვენებულ ქაიხოსრო ყიფიანის ნაამბობი ჩავწერე ჩემ რაჭაში მოგზაურობის დროს, როდესაც 1903 წლის 8 აგვისტოს ვინახულე განსვენებული ს. ხვანჭკარაში. 38) ქარ. ცხ. II' 81

38). ქარ. ცხ. II, 81.

39) ვახუშტის გეოგრაფია. ბროსეს გამ. გვ. 410 -412; ფურცელაძე. Гуджары 45; Сборникъ Законовъ Вахтанга გვ. 201-202 და „Переписка Груз. Царей съ Вроссійскими Госуд. გვ. XII. ამ პრივილეგიაში ციანე ოქროპირის თქმით, გამოიხატებოდა შვენიერება ეკლესიისა. ეს იყო მისი დიდების მაჩვენებელი (Полное соб. Ея. Знам.-СПБ. 196. ტ. III,405 და 406.

40). პლ. იოსელიანი. Закав. В. 1845 № 4, გვ. 30 და № 22, გვ 221. жизнь вела. Моурава Георгія Саакадзе (т. 1848) გვ. 45...

41) ჟორდანია. ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი გვ. VIII.

ავრესათ, იმაში გამოიხატებოდა, რო ღარიბთათვის ნუგეში ეცათ 42). ღვთელთ მთავრების სახლში ხშირათ მუდამდღე მზადდებოდა სადილი ღარიბ— ღატაკთათვის 43). ჭირში და ლხინში საღვდელოება ხალხს მხარში უდგა. როდესაც 1797 წ. ქ. თფილისში ჭირი გაჩდა, მცხოვრებნი გაიხიზნენ ტყეებში და ხეობებში. დიდი იყო ხალხის გაჭირვება და ვაება. ამ დროს „მონასტერნი და უდაბნონი მოეშველენ გაბნეულთა პურითა და ღვინით, საჭმლითა და საქონლითა,— მეუდაბნოეთა ხელნი გარდაიქცენ ხელათ ღვთისა და განგებულებისა მისისა. მეუდაბნოენი და მემხოლოგნი შთამოსრულნი მათგან თვისთა უყაყთა, გამოსრულნი კლდეთა ნაპრალთაგან, ვითარცა მერცხალნი ბუდეთაგან თვისთა, ექნებოდენ მსახურად და ნუგეშინის მცემელად ლტოლვილთა სახლთაგან თვისთა, ვითარცა ანგელოზნი მფარველნი, ეჩვენებოდენ ივნი მათ მოვლენილათ ღვთისაგან. ლოცვა და ვედრება მათი განწმედდა ქრისტიანეთა გონებასა და განამხნევდა ძას, რათა უძლოს განსაცდელსა“. ამ დროს ამ მონაზონთა წინ უძღოდა იოანე ნათლის მცემლის უდაბნოს წინამძღვარი ევთიმი 44). იმერეთშიაც მძვინვარებდა ჭირი იმ ხანებში და იქაც გვაქვს მაგალითი საღვდელოების თავ-განწირული მუშაობისა ხალხის სანუგეშებლათ. ბატონიშვილი- დავითი მოგვითხრობს, რომ „ჟამსა ამას გენათელმა ევთიმიმ ესოდენ იღვაწა, რომელ ჭირსა ამას შინა მოსილი ერისა კაცის ტანისამოსით დადიოდა და უვლიდა მრავალთა სნეულთა, აზიარებდის და მარევდის, ხოლო ხალხთა მშიერთა, რაიცა ეპოებოდის საზრდოთ, აძლევდის „45). უეჭველია, მისი წამბაძველიც ბევრი იქნბოდა, რათგან ღვდელთმთავრის მაგალითი ყოველთვის მოქმედებს საღვდელოებაზე. უმიზეზოთ-კი არ დამკვიდრებულა ხალხში ის რწმენა, რო მომსრველი-იგი სენი ვერ მიეხების ღვდელთა რათურთით, და ესრეთ განთავისუფლებულ არნ მღუდელნი მომსვრელთა სენთა მიერცა 46). ეს რწმენა ხალხში არსებობს ახლაც, როდესაც საღვდელოებამ, გარეშე მიზეზების გამო, სამწუხაროთ, დაკარგა ეს ძვირფასი თვისება და მოყალეობის შეგნება.

ეს საქართველოში შემთხვევითი მოვლინება არ იყო. საღვდელოება იყო მუდამ ნუგეშინის მცემელი ხალხისა. გასაკუთრებით ამ მისიას ასრულებდენ მონასტრები და მაშინდელი ბერმონაზვნები. მონასტრები, და ხშირათ სამრევლო ტაძრებიც-კი, იყვენ თავშესაფარი მტრის შემოსევის დროს. ომში გასულთ ოჯახობა და მოხუცებულ-დავრდომილნი, რომელთაც არ შეეძლოთ ომში მონაწილეობის მიღება, მონასტრების გალავნებში იხიზნებოდენ, რათგან მაშინდელი მონასტრები წარმოადგენდენ ნამდვილ ციხე-სიმაგრეებს 47). მაშასადამე, ვიტყვით განსვენებულ ალ. ხახანაშვილთან ერთად, ეკლესია იყო მფარველი ტყვეთა და, საერთოდ, საწყალობელთა. ერთხელ თავშეფარებული ტყვე ეკლესიას აღარ გამოეწირებოდა 48).

ამბერი.

(შემდეგი იქნება)

სახელმწიფო დუმა.*)

(19 თებერვლის სხდომა).

19 თებერვალს დასრულდა საზოგადო კამათი ბიუჯეტის შესახებ. მიღებულ იქნა პროგრესიული ბლოკის ფორმულა.

ამ

42) ქრონ. II, 212, 250, 409... ბროსე—Yayage arch. Bar. VII, 50 და 107.

43) ჟორდანია. ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი XIII.

44) ბლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა გვ. 549-151.

45) დ. ბატონიშვილი. მასალები საქარ. ისტორიისთვის. გვ. 98-99 (თფ. 1905 წ.)

46). ქარ. ცხ. I, 455.

47) Матеріалы по археол. Кавказа вып. IV. 36; ნატროშვილი. Мцхетъ и его соборъ Свети-Цховели გვ. 193; ყაზბეგი. Три мѣс. въ Тур. Грузіи (თფ. 1875 წ.) გვ. 79. ბაქრაძე. Кавказъ Въ др. памятникахъ Христіанства-ის арх. Акты ტ. V, 1009 და 1097-1098 და სხ.

48). ხახანაშვილი, გუჯრები, გვ. XIII.

*) იხ. „თანამედ. აზ.“, № 46

სხდომაზე, სხვათა შორის, დიდი სიტყვა წარ-
მოთქვა

შენიშვნები*)

ღვდელმთავრები: ანტონი, გაბრიელი და ლეონიდი.

(თხზულებანი ეპ. ლეონიდისა, პირველი ტომი, გამოს. 1914 წ.)

მარა მამის ასეთი აზრი შვილზედაც უცვლელათ გადადის. კიდევ კარგი, თუ შვილსაც ცხოვრების ცოდნა მამისა დაყვა — თუ ისიც უცდომელ გზას დაადგა ცხოვრებაში. მარა ეს ხშირათ არ მართლდება: მამისა დაყვება სიძულვილი აღნიშნული შინაარსის წიგნების კითხვისადმი და ცხოვრების ცოდნა-კი თავისებური-ჩვეულებრივი: გაღმეთრება კუჭისა, რამაც არ შეიძლება არ მოაკლოს წევრი იცხოვრ, საზოგადოებას და სამშობლოს!... აი, რას დატირის მდუღარე ცრემლებით, თავის მოძღვრებათა კრებულში, ჩვენი მოჭირნახულე ეპ. ლეონიდი... რათ უნდოდა მას, რო მთელი წყება ჩვენი წმიდანებისა მოუყვანია, აუწერია მათი ცხოვრება-მოღვაწეობა, დაურთავს მარგებელი მოძღვრებანიც და თვისი საყვარელი ერისთვის მიუძღვნია! ნუ თუ ვერ მოუნახავს ისეთი ტემა, რომელიც ხორციელი ცხოვრებისთვის ცოტას ამბობს, მაგ. — „შეხედეთ ცის ფრინველებს, არც სთესვენ, არცა მკიან, აღარც არაფერს ინახვენ. მარა მამა ზეციერი კვებავს მათ; თქვენც ასე დაგარჩენს თქვენი მამა ზეციერიო,“ — როგორც ამას არახუნებენ ზოგიერთი მოძღვრები და მით ამახინჯებენ ქრისტეს მოძღვრებას, რომელიც ქრისტემ თქვა თვისი ღვთაებრივი ბაგით. მარა არ ეთქმის იმ ქონმოკიდებულ მოძღვრებს, რომელნიც დარბაზებში ფუფუნებით გამოჭიმულან და სხვას სირივით ცხოვრებას ურჩევენ?! საზოგადოთ, ეპ. ლეონიდი არავის ბაძავს ქადაქებაში. რა თქმა უნდა, მას როგორც აღზდილს რუსული საღვთისმეტყველო შკოლაში, სადაც რუსულივე ომილეტიკა ერთი მთავარ საგანთაგანია, მაინც და მაინც დიდ ცოდვათ არ ჩაეთვლებოდა შეპარვოდა რუსული მიმართულება. მარა არათუ არ ბაძავს ამ საგანში რუს მქადაგებლებს, არ ბაძავს თვით ქართველ ბწყინვალე მქადაგებლებსაც: ანტონს და გაბრიელს. მას აქვს თვისი საკუთარი ორიგინა-

*) იხ. „ცხოვრება“, № 2.

ლური სტილი; მან შექნა სრულიათ ახალი მიმართულება მქადაგებლობაში: პუბლიცისტური, პოეტური, **მხატვრული**. — ამა, რომელი მქადაგებელი იწყებს ასე თავის სიტყვას: — „მზისა, ვარდისა, სიცოცხლისა და შვების თვეა მაისის თვე. ამ თვეში მზე, ვით აკვანზე ბავშისათვის ძუძუს მისაცემათ დახრილი, თმა გაშლილი დედა, უკლებლივ აფენს ბუნებას თვის უთვალავ სხივებს. მარა არა იმისთვის, რომ ამ სხივებმა დასწვან და გაახმონ რამე, არამედ იმისთვის, რო მათ იგი ბუნება გაალხვ — გაათბონ და სიცოცხლის ნაკადი აამოძრაონ მასში, გამოაღვიძონ, გააცოცხლონ იგი და ააფუონ, გაანედლონ და გამოაწყონ სამოქმედოთ მისი წიაღი. ამ სხივებს დედის ტკბილი ძუძუსავით სწოვენ სულდგმულნი და უსულო არსებანი. ამ სხივების წყალობაა, რო ზამთრისგან მიმკდარებული ბუნება ღონეს იკრეფს მაისში, წელში იმართება, გამოაქვს გარეთ თავის წიაღში ჩამალული სიმდიდრე, იფოთლება, ფერად-ფერადათ იმოსება, ზეიმობს მთასა და ბარში, მიდორში და ტყეში, ვენახში და ხევში. ყოველგან მხიარულობაა, ყოველგან გალობაა და ხმაურობაა, ყოველგან სიცოცხლე და მეჯლიშობაა გაჩაღებული. ვარდი და ია, ნორჩი ბალახი, ფრინველთ მხიარულობა და ჩამამავლობისთვის ბუდის შენება, კრავები, ჩვილი ხბოები, ახალი ხილი და მიდორში ღვთისგან ნაკურთხი, ქვეყნის მკვებავი გუთანი – ყველა ეს კუთვნილებაა მაისის თვისა, ყველა ეს ჩდება და იხილება ხსენებულ თვეში!“ — (გვ. 89)

ან, რომელი მქადაგებელი აბოლავებს თავის მოძღვრებას ასე, ვინც თავის სამშობლოს თავზე არ ევლება:

„თუ თქვენთვის ღირებულობის მოკლებული არ არი თქვენი სამშობლოს აღდგენა - გაძლიერება, თქვენი მშობლიური ერის განათლება და ბედნიერება, მოსვენებას არ უნდა გაძლევდეთ თამარ დედოფლის აჩდილი. თქვენც მის მსგავსათ დღე და ღამეს უნდა ასწორებდეთ სამშობლოს სამსახურისთვის, პირიდან ლუკმას უნდა იღებდეთ მოყვასთა საშეღავათოდ, მტლეთ და წამლათ უნდა ედებოდეთ გაჭირვებულ თანამემამულეებს, თქვენი ლმობიერი საქციელით უნდა სპობდეთ ცხოვრებაში ფესვგადგმულ ერთი-მეორის მტრობას და სიძულვილს, თქვენ უნდა უმზადებდეთ სამშობლოს ნაკურთხ ნიადაგს შოთა და ჩახრუხაძეების მზგავსი პირების წარმოსაშობათ, მედგრათ უნდა ებძოდეთ ყველაფერს, რაც-კი ხალხს აკავებს სიბნელეში და უმეცრებაში, ფასს უკარგავს ქვეყნის თვალში ქართველის სახელს და, ბოლოს, ერთი წამითაც არ უნდა ურიგდებოდეთ თქვენი სამშობლოს ვისგანმე დაჩაგვრას. ამას შემაძლებინებთ, ამისი შესრულების სულს ჩაგბერავთ იგივე გულმხურვალება და გამსჭვალვა ქრისტეს პიროვნებისადმი მხურვალე სიყვარულით, რომლითაც აღჭურვილი იყო საქართველოს დედა, უკვდავი თამარ მეფე. გწამდეთ: საქართველოს ბედი ქრისტეს მოსავი თამარის მომბაძავ დედათა ხელში და არა ბებელის იდეალის ქალისაში.“ — (გვ. 104)

ღიახ! ეპ. ლეონიდს თვისი საკუთარი მეტოდი აქვს შემუშავებული მქადაგებლობაში და სწორეთ ისეთი, როგორიც საჭიროა დღეს. მიტომაც არი, რო მისი სიტყვები და მოძღვრებანი ღრმათ ჩადიან ადამიანის გულში. — მაისისთვის დახასიათება მქადაგებელს დაკავშირებული აქვს თამარ მეფის დღესასწაულთან (1 მაისი) და საკვირველიც რათ არი, რო სწორუპოვარი და საქართველოს უუმწვერველეს სიმაღლემდი ამყვანი ქალის ხსენებას სამშობლოს ერთგული შვილის გულში ვძნობის ცეცხლი აღეგზნო!.. ულევია და უშრეტი წყარო მეტყველებისა ყოვლათსაღდელო ლეონიდში, როცა ის ეხება გენიალობას თამარ მეფისას, დავით აღმაშენებელისას და სხ., მარა ეს იმიტომ კი არა, რო თავი შეიქციოს, ან სხვა შეაქციოს! არა. მის ყოველ სიტყვაში აღმზდელი მიდრეკილება გამოიხატება და ამ ადამიანების მაგალითით მით უფრო გვზდის, რომ ისინი, თუ ქვეყნიური გმირები ყოფლან, ამას სრულიათაც არაფერი დაუშლია მათთვის, რომ ზეციერი ანგელოზთა დარნიც გამხთარიყვენ.

(შემდეგი იქნება)

კირილე წუთასოფელი.

ახალი წიგნი.

რედაქციამ მიიღო ბ-ნი ს. რ. გორგაძის წიგნი „ქართული მართლწერა“, თომა მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა. წიგნი კარგ ქალალდზეა დაბეჭდილი, სუფთად, ლამაზათ არი გამოცემული, 64 გვერდიანია და ღირს ორი აბაზი.

რედაქტორ-გამომცემელი რ. ს. ფანცხავა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახ. ჩარექოვისა

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

ფელიფადი მეოთხე

„თეატრი და ცხოვრება“

ფელიფადი გამოცემისა მეოთხე

1916 წელსაც გამოვა

წლიურად 5 მან. ნახ. წლ. 3 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდი სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით — 3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ—ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს — 2 მ. მაისში — 2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება. **ხელის მოწერა მიიღება** „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлитъ. ред. „Театри да Цховреба“ — Іос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.